გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtrediismacne@gmail.com

# სამტრედიის მაცნე

№7 (9370) 15 აპრილი. 2022 წელი ფასი 75 თეთრი



2

ზვიად შალამბერიძე: "საკურა იაპონიაში მშვიდობის სიმბოლოდ ითვლება"

## სამტრედიის ისტორიაში ჩვენს ხელწერას დავტოვებთ



2



5

## გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია სამტრედიაში

6

## თხილაკვების უბანს რეაბილიტირებული გზა ექნება

## 9 აპრილი – თავისუფლებისკენ სავალი გზის ყველაზე ნათელი ფერი



4

## ინტელექტუალური ტურნირი მწერალ გიორგი ხარაიშვილის გუნდმა მოიგო

*რა დაიწუნა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა?*

8

# სამტრედიის ისტორიაში ჩვენს ხელწერას დავტოვებთ

ლევან ბაბერავა

*მკითხველს დავპირდით, მუნიციპალიტეტის მერის ახლადდანიშნული მოადგილეების შესახებ შედარებით ვრცელ ინფორმაციას მივაწოდებდით, ამ მიზნით ვეწვიეთ 8 აპრილს მერის პირველ მოადგილეს, ბატონ ვლადიმერ ზაქრაძეს და ჩვენი საუბარიც შედგა.*

*დაიბადა 1975 წელს. დაამთავრა ოფურთის საჯარო სკოლა, დიდი ჯიხაიშის აგრარულ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური კოლეჯი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი (სოფლის მეურნეობის ფინანსები და კრედიტები).*

*სხვადასხვა წლებში მუშაობდა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის რეგიონალური (გურია-იმერეთი) სამსახურის უფროსად, შპს "მექანიზატორის" სამტრედიის სერვისცენტრის ტექნიკური სამსახურის უფროსად, მენეჯერად და სხვა.*

*ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

"ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაა პატივად და დიდ ნდობად აღვიქვამ, სრულად ვაცნობიერებ ყოველივეს და ვეცდები, ჩვენს გუნდთან ერთად საკუთარი ხელწერა დავტოვო სამტრედიის ისტორიაში, აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, მმართველ პარტიას გამოცხადებული ნდობისათვის.

ეს-ესაა დავინიშნე მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე, თუმცა უკვე ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ბატონი დავითი ზედმიწევნით იცნობს სამტრედიისა და სამტრედიელების წინაშე არსებულ ყველა პრობლემას, საკორბოროტო საკითხს, მან იცის საქმე ერთი სიტყვით, სასიამოვნოა მასთან მუშაობა". – აღნიშნავს ვლადიმერ ზაქრაძე ჩვენთან საუბარში.

ხელსაყრელი ამინდებია, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები თანდათან შევა აქტიურ ფაზაში და ჩვენც, ვიმედოვნებთ, პოზიტიურ კონტექსტში გაცილებით მეტი გვექნება საწერი და, შესაბამისად, სათქმელი, უკვე შესრულებული სამუშაოების, განხორციელებული პროექტების თაობაზე და მათში პირველი ვიცე-მერის როლზე.



ცნობისთვის: ფინანსები, ეკონომიკა, ქონების მართვა, ინფრასტრუქტურა – აი, ამ მიმართულებებს უწევს კურატორობას ბატონი ლადო ზაქრაძე.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს რესპონდენტს პრესტიჟულ, საპასუხისმგებლო პოზიციაზე დანიშვნას და წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლოდ.

## "ვეხმარებით უკრაინელ ხალხს"




# იმერეთიდან უკრაინაში მეორე ეტაპზე 40 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნება

იმერეთის რეგიონიდან ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნის პროცესს ადგილზე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე ხელმძღვანელობდა. "პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით უკრაინელი ხალხისთვის საქართველოდან ჰუმანიტარული დახმარების მობილიზაცია გრძელდება. იმერეთში მეორე ეტაპის ფარგლებში ჩვენ მოვაგროვეთ 40 ტონა ტვირთი, რომელიც უკვე დაიტვირთა, შესაბამისად მოხდება ტრანსპორტირება და გაიგზავნება უკრაინაში. რა თქმა უნდა, მადლობა მინდა, გადავუხადო კერძო სექტორს და იმ ადამიანებს, ვინც დაუდგა სახელმწიფოს გვერდით და ერთიანი ძალისხმევით ვეხმარებით უკრაინელ ხალხს". – განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მეორე ეტაპზე შეგროვილი ტვირთი უკრაინაში უახლოეს დღეებში გაიგზავნება.

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში მერიების სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით მოხდა სამედიცინო დახმარების საგნების, მედიკამენტების, ასევე ჟანგბადის კონცენტრატორებისა და ჰუმანიტარული დახმარების სხვა საგნების შეძენა. გარდა ამისა, რეგიონის მასშტაბით შეგროვდა არამალფუჭებადი პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები, ტკბილეული და ტანსაცმელი.

ტვირთის მობილიზების პროცესში სახელმწიფო უწყებებთან ერთად აქტიურად არის ჩართული კერძო და სამოქალაქო სექტორი.

პრემიერის გადაწყვეტილებით პირველ ეტაპზე რეგიონებიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, 150 ტონაზე მეტი ტვირთი უკვე გაიგზავნა, ხოლო მეორე ეტაპზე დასავლეთ საქართველოდან 50 ტონაზე მეტი ტვირთი შეგროვდა, მათ შორის 40 ტონა იმერეთის რეგიონიდან გაიგზავნა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შეგროვებული ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ეტაპი უკრაინაში რამდენიმე კვირის წინ გაიგზავნა.

ნინო ნანიტაშვილი



# ზვიად შალამბერიძე: "საკურა იაპონიაში მშვიდობის სიმბოლოდ ითვლება"

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ და იაპონიის ელჩმა საქართველოში იმამურა აკირამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საკურას ხეები დარგეს.

საკურას ხეივანი ნიკეას ქუჩაზე, ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის სახელობის ძიუდოს სპორტული სკოლის მიმდებარედ გაშენდა და საქართველო-იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე საიუბილეო წელს მიეძღვნა.

"აღნიშნული იდეა ეკუთვნოდა ქუთაისელ ოლიმპიურ ჩემპიონს, დავით ხახალეიშვილს. იაპონიის საელჩო მოხარულია, რომ იაპონური კულტურის განუყოფელი და თვალსაჩინო ნაწილი იქნება წარმოდგენილი ქუთაისშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში. საკურა იაპონიაში მშვიდობის სიმბოლოდ ითვლება." – განაცხადა ჟურნალისტებთან კომენტარში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ.

ნინო ნანიტაშვილი

# მადლობა იმერეთის რეგიონულ ქოლცენტრს

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონში კოვიდთან დაკავშირებით დროებით შექმნილ ქოლცენტრის თანამშრომლებს შეხვდა, გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და სპეციალური სიგელები გადასცა. აღნიშნული ცენტრი პანდემიის დროს შეიქმნა და თანამშრომლები დაინტერესებულ მოქალაქეებს COVID-19-თან დაკავშირებით მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეზღუდვების დაწესების ან მოხსნის შესახებ აწოდებდნენ ინფორმაციას.

"იმერეთს ჰყავდა კომპეტენტური ადამიანებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც ცენტრის დაარსების დღიდან წარმატებით ემსახურებოდა რეგიონს და კოვიდის რეგულაციებთან დაკავშირებით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დეტალურად აცნობდა მოქალაქეებს. მადლობა თითოეულ თქვენგანს დახმარებისა და გვერდით დგომისთვის". – აღნიშნა შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ.

რეგიონული ქოლცენტრი 2020 წლის ნოემბერში შეიქმნა და 24 საათიან რეჟიმში მუშაობდა.

ნინო ნანიტაშვილი



# საკრებულომ სამუშაო გეგმა დაამტკიცა



მორიგი სხდომა გაიმართა 4 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომელსაც ტრადიციულად ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. დამტკიცდა დღის წესრიგი, რომელიც დარბაზს საკრებულოს თავმჯდომარემ წარუდგინა.

მომხსენებლები გახლდნენ, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ხირბილაძე და საკრებულოს წევრი, ბატონი გოჩა არველაძე.

დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც წინასწარ გახლდათ განხილული.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის თებერვლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, საკრებულოს ბატონმა გოჩა არველაძემ წარუდგინა.

დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, მცირეხნიანი ვნებათაღელვა ქალაქში მაწანწალა ძაღლების მომრავლების გამო გაგრძელდა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეებს, განსაკუთრებით მცირეწლოვან მოსწავლეებს.

როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია თანხმდება, რომ საკითხი მოსაგვარებელია, თუმცა...

არ ვიცი, ეს რამდენად დააინტერესებს ჩვენი აზრი კონკრეტული საკითხის ირგვლივ, მაგრამ როგორც ქვეყანაში, ისე სამტრედიაში მიუსაფარი, მაწანწალა ძაღლების თემა ნამდვილად მისახედია.

ლევან ბაბეჩავა





# საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა

9 აპრილამდე ორიოდე დღით ადრე, 7 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართული სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო. საკრებულოს დეპუტატებმა პატივი მიაგეს იმ ახალგაზრდების ხსოვნას, სამშობლოს თავისუფლებას რომ შეეწირნენ.

შემდეგ კი სხდომის მიმდინარეობა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. განსახილველი საკითხები ძირითადად საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიული საკითხების კომისიების კომპეტენციაში შედიოდა. შპს-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტებში შესატან ზოგიერთ ცვლილებაზე, რაც საჭიროებით გახლდათ განპირობებული, საფინანსო კომისიის თავმჯდომარე მერაბ ულრელიძე საუბრობდა. მას იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა ხირბილაძე ჩაენაცვლა, რომელმაც იმ ცვლილებებზე ისაუბრა, მერიის სამსახურებში ახლო მომავალში რომ განხორციელდება.

ჩვენი გაზეთის მეშვეობით ყველა მათგანზე ეტაპობრივად გაცნობებთ.

"სამტრედიის მაცნე"

# ხარისხი განსაზღვრულია

თქვენს მიერ მოწოდებული, ზუსტი ინფორმაციები შესასრულებელი სამუშაოს ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, დასახვენებელი სივრცეები მოგვიმრავლდა, დაღლილი ადამიანები კი არა. სასურველი იქნება, აქცენტირება ისეთ პროექტებზე გავაკეთოთ, რომ ადგილობრივები, თუნდაც, 2 თვით მაინც დასაქმდნენ და სტიმული მიეცეთ სამომავლოდ.

ეს და მრავალი სხვა მითითება მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა დავით ბახტაძემ 13 აპრილს გამართულ მუშა თათბირზე გააჟღერა, რომელსაც მერის მოადგილეები, შესაბამისი სამსახურების უფროსები, დაბასა და სოფლებში მერის წარმომადგენლები და მაჟორიტარები ესწრებოდნენ. აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა სოფლების მიხედვით დეტალურად განიხილა სოფლის პროგრამების ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა საკითხი და დაავალა მათ (რწმუნებულებს, მაჟორიტარებს) კომუნიკაცია იქონიოთ ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურებთან.

სამუშაო თათბირი საქმიან ატმოსფეროში, მოწვეულთა აქტიური ჩართულობის ფონზე წარიმართა.

ლევან ბაბეჩავა



# პროექტი დევნილი და ეკომიგრანტი მოსახლეობისთვის

თეა ბაბუნაშვილი

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სამტრედიაში ჩასახლებულ დევნილებთან შეხვედრის მიზანი საქმიანი საუბარი გახლდათ. უფრო ზუსტად, დევნილებს წარუდგინათ პროექტი, რომლის განხორციელება სამტრედიის მუნიციპალიტეტში ადვილად შეიძლება და რომელსაც რამდენადმე შეუძლია გააუმჯობესოს მათი ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი სასათბურე მეურნეობების მოწყობას შეეხება, რაშიც სააგენტო დაეხმარება მსურველებს. თუმცა, პროგრამაში მონაწილეობისთვის აუცილებელია, ბენეფიციარი საკუთარ სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ფლობდეს. სააგენტოს დახმარებით, დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა 20 ათას ლარამდე დაფინანსება მოიპოვოს და 240 კვ. მეტრ ფართობზე ნებისმიერი კულტურა გააშენოს სათბურში.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული სტუდენტების მგზავრობის დაფინანსების საკითხი. შეკრებილთათვის კიდევ უფრო საინტერესო გახდა ეს თემა მას შემდეგ, რაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ პროფესიული განათლების არაერთ სასწავლებელს სახელმწიფო აფინანსებს.

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელი თამარ გაფაშელი დევნილების კითხვებს პასუხობდა. როგორც მან აღნიშნა: "მინდა მჯეროდეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში ჩვენი დახმარება სასარგებლოდ აისახება დევნილ და ეკომიგრანტ მოსახლეობაზე. ჩვენ მივიღეთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია მათ საჭიროებებზე, რასაც შემდგომში ჩვენს სამოქმედო სტრატეგიაში ავსახავთ. დღეს მათ გავაცანით სასათბურე მეურნეობებთან დაკავშირებული პროექტი. პროექტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ თანხა დაინტერესებულ პირებს გრანტის სახით გადაეცემათ."

სასათბურე მეურნეობის მოწყობაში იგულისხმება სასათბურე კონსტრუქციის, სასათბურე ფირის, ვენტილაციისა და წვეთოვანი სისტემების მოწყობა. სათბურში საკუთარი გამოცდილებაზე დაყრდნობით ნებისმიერი კულტურის მოყვანა შეუძლია მსურველს. განაცხადების მიღება 4 აპრილს დაიწყო და 6 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. პროგრამა უკვე კარგად აპრობირებულია, იგი 2017 წლიდან ხორციელდება. რაიონები ყოველწლიურად იცვლება. წელს უკვე იმერეთის მეორე მუნიციპალიტეტს შესთავაზეს პროგრამით სარგებლობა.

მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე მოადგილეებთან ერთად ესწრებოდა შეხვედრას. "მზად ვართ, სააგენტოს მხარდაჭერის გათვალისწინებით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პროგრამების განხორციელებაში, რადგან მართლაც კარგი შედეგის მომცემი იქნება იგი. გთხოვთ ინტერესით მოეკიდოთ ამ საკითხს. ამ ეტაპზე სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა მიმდინარეობს, შემდეგ, წლის განმავლობაში შესაძლებელია, სხვა დატვირთვის პროგრამების დანერგვა მოხდეს. აღნიშნული სააგენტო გასულ წლებშიც ახორციელებდა სხვადასხვა პროგრამას. თუმცა, სამწუხაროდ, სამტრედიაში განსაკუთრებით არავის უაქტიურია მასში ჩასართველად. ყველა კონკრეტული პროგრამის კრიტერიუმების გათვალისწინებით, ისინი მოვარგოთ იმ პირობებს, რაც სჭირდება თქვენს ოჯახებს. კიდევ ერთხელ გამოვხატავ მხარდაჭერისთვის მზადყოფნას მუნიციპალიტეტის ხელისუფლების სახელით." – აღნიშნა დავით ბახტაძემ. რადგან სააგენტო პროფესიული გადამზადების მსურველი სტუდენტების მგზავრობის დაფინანსებას უზრუნველყოფს, მერის განცხადებით, მუნიციპალიტეტი თავის მხრივ სხვა საჭირო დახმარებას გაუწევს ახეთ კონტინგენტს. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიული განათლების მიღების მსურველები ასაკში შეზღუდულები არ არიან.

# 9 აპრილი – თავისუფლებისკენ სავალი გზის ყველაზე ნათელი ფერი

თეა ბაბუნაშვილი



33 წლის გახდა 9 აპრილი!

მაშინდელი ძაძით მოსილი გაზაფხულის გამოძახილი, ცრემლგამშრალი ახსენებს იარაშეკრულ აპრილს იმ პირგახსნილი ჭრილობის ტკივილს. სამშობლოსთვის თავდადება უცვლელი მცნებაა და წლების შემდეგაც ვერაფერს გულისხმობს "მოდერნისტულს", სამშობლოსთვის თავდადების გარდა! თუმცა, მას შემდეგ სისხლის წვეთები ისევ ხდის ქვეყანას, ღვთისმშობლის წილხვედრს, დღენიადაგ ბრძოლით რომ უწევს მომხდურ მტერსა და მტრადქცეულ მოყვარეზე გამარჯვება.

წელს განსაკუთრებით ცრემლიანია აპრილი ყველა იმისთვის, ვისაც მკერდში გული სიყვარულით უცემს, სამშობლოს, თავისუფლების, მოყვასის, მეგობრის სიყვარულით. არ აქვს მნიშვნელობა შენი ტერიტორიაა თუ სხვისი ქვეყანა – უკრაინა ბორგავს ბოროტების სიკეთეზე გამარჯვებით და 'უმანკოთა წმინდა სისხლი" ისევ "შესჩუხჩუხებს უფალს – რა ხდება!"

33 წლის გახდა 9 აპრილი!

ისევ დროშები, ტკივილიანი მოგონება და გამარჯვების სიხარული. ტიტებით შემკული მემორიალები და სამწუხაროდ, უკვე ხშირად, გულისამაჩუყებელი სიტყვები, ზერელე პათეტიკით, რომ ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ. სანამ ვინმე ამ წინადადების ქარ-ცეცხლში გატარებას დააპირებს, სხვა თუ არაფერი, მემორიალებზე გამოსული ადამიანების რაოდენობას გადახედოს, ისიც გაიხსენოს, რომ უკვე არაერთი წელია, არათუ უბრალო ადამიანები, თვლით მოყვანილი საჯარო მოხელეების გარდა, ვერავის ნახავთ ამ მემორიალებთან.

და მაინც, 9 აპრილის გათენდა დილა მათთვის, ვისაც ახსოვს, ვისაც სტკივა და ვისაც ემახსოვრება ეს დღე. "უტყვი და უჩქეფი", ვინც მეწამული ბილიკებით ატარა სამშობლოს სიყვარული და დღესაც თავისუფლების წყურვილითა და აღმაფრენით ჩუქნის ტიტებს მარმარილოს ქვადქცეულ ხსოვნას. ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სამტრედიაშიც სანთლებად აინთეს იმ გოგო-ბიჭების ხსოვნა.

წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, ცალ-ცალკე გასვლის დამკვიდრებული ტრადიცია განმეორდა სამტრედიაში. და აქაც უნდა დავსძინოთ, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში! სამშობლო ერთია, მემორიალთან გასვლა აქვს დაცალკევებული პოზიცია-ოპოზიციას თორემ!

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე, მერის პირველი მოადგილე ვლადიმერ ზაქრაძე და მოადგილე გია მეიშვილი, საჯარო მოხელეებთან ერთად 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან. "დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 9 აპრილი განსაკუთრებული თარიღია. 33 წლის წინ დამოუკიდებლობის მოთხოვნით ქართველი ერი გაერთიანდა და ავტორიტარული რეჟიმის სამხედრო მანქანას დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ 21 ქართველის სიცოცხლე შეიწირა აპრილის იმ ღამემ, ამ თარიღმა განაპირობა, რომ უახლეს ისტორიაში ქართველი ერი თავისუფლების გზაზე მდგარ მოსიკანად შედგა." – აღნიშნა დავით ბახტაძემ. "მემორიალებთან პატივის მიგება ის ერთადერთი რამაა, რითაც შეგვიძლია 33 წლის წინ 9 აპრილის ღამეს იმპერიის ბარით დაჩეხილი 21 სიცოცხლე მოვიგონოთ. საქართველოში დავიწყება არ უწერია მათ გვარ-სახელებს, ისინი სამშობლოს თავისუფლებისთვის წმინდა სანთლებად აენთნენ მარადისობაში." – ასე მერის პირველმა მოადგილე ვლადიმერ ზაქრაძემ მოიგონა 9 აპრილის მემორიალთან გმირულად დაღუპულები. მისი პათოსი გაიზიარა გამგებლის მოადგილე გია მეიშვილმა: "ვალდებულნი ვართ, მომავალ თაობებს, ჩვენს შვილიშვილებს ვასწავლოთ და არ დავავიწყოთ იმ ადამიანების გვარ-სახელები, თავისუფალი საქართველოსთვის საკუთარი სისხლი რომ გაიღეს ზვარაკად. დიდება მათ სახელებს და მათ ხსოვნას, ფერგასული სურათებიდან რომ შემოგვცქერიან და უფლებას არ გვაძლევენ, ისეთივე გზნებით არ გვიყვარდეს სამშობლო, როგორც მათ უყვარდათ, როგორც მათ სჯეროდათ იმ სისხლიან ღამეს, რომ მისი თავისუფლებისთვის სიცოცხლეც უნდა გაეღოთ."

ხელისუფლების წარმომადგენლებზე ცოტათი ადრე ოპოზიციის წარმომადგენლები "ნაციონალური მოძრაობიდან" ეწვივნენ დაღუპულთა მემორიალს. რადგან ორივე "ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ" და თავად ვერ მიჩვია პოზიცია-ოპოზიცია ამ დღეს მაინც ერთიანობას, ჩვენ ერთ წერილში გავაერთიანებთ ამ ორ ფაქტს მათი "ერთიანობის სიმბოლოდ". ტიტები და სანთლები 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან შეუცვლელია! მას შემდეგ, რაც იგი შეამკეს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ სამტრედიაში ემზარ შუბლაძემ განაცხადა: "9 აპრილი გადამწყვეტი მოვლენა გახდა ბოროტების იმპერიის რღვევაში. თუ ვინმეს მაშინ არ ჰქონდა გააზრებული, თუ რა დიდი ბოროტება ყოფილა რუსეთის იმპერია, დღევანდელმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო ეს ფაქტი. მაშინდელი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, რუსეთის დღევანდელი იმპერიაა. დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლის დროს უკან დასახევი გზა ჩაახერგვინა, უკან დასახევი გზა რომ მოეჭრა გარდაუვალი გამარჯვებისთვის. ეს სულისკვეთება დღეს არ ეტყობა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და სხვა მრავალთან ერთად, ესეც არის მიზეზი აქ ჩვენი ცალ-ცალკე გამოსვლისა."

მის პათოსს იზიარებდა საკრებულოს წევრი "ნაციონალური მოძრაობიდან" ქეთევან ტალახაძე: "ჩვენმა თაობამ იცის 9 აპრილის მნიშვნელობა და ის, თუ რა მოხდა ამ დღეს. ვალდებულები ვართ, ამ თარიღის მთელი სიცხადე ჩვენს მომავალ თაობებს გავაცნობიერებინოთ და ვასწავლოთ, როგორ მოვიდა დღემდე მათი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა."







მემორიალთან დაღუპულთა ხსოვნას პატივი საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშომაც მიაგო. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მალხაზ იანტბელიძე ამბობდა, "ჩვენ უკვე არაერთგზის გვაქვს ნანახი რუსეთის იმპერიის ბოროტება, ჩვენ ვცნობთ მათ სახეს. ახლა ის კიდევ უფრო მკვეთრად დაინახა მსოფლიომ უკრაინაში. უკრაინის სახელმწიფოს მეთაური მოქმედებს ისე, როგორც ეს მის ხალხს სურს. 33 წლის წინ 9 აპრილის ღამეს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც ისე მოქმედებდნენ, როგორც ქართველ ხალხს სურდა. მადლობა მათ ამ თავგანწირვისთვის, დღევანდელი ჩვენი თავისუფლება მათი მონაპოვარია."

ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი, პირველი ჩოხოსანი ქალბატონი სამტრედიაში ქეთევან ჭელიძე, აღნიშნავდა: "ცრემლი ხდის 9 აპრილს. სამშობლოს თავისუფლებისთვის დაღუპულთა სისხლით გაჟღენთილია მიწა. მათ სახელებს არასდროს არავინ დაივიწყებს. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცნენ ისინი.

ისევ ის მტერი, ახლა უკრაინაში ბობოქრობს. გამარჯვებას ვუსურვებ უკრაინელ ხალხს!"

მას მერე, რაც მათი ხსოვნა სამშობლომ სანთლებად აინთო, 33 9 აპრილი გავიდა. ეს თარიღი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სიჭრელეში სწორედ მისი სისხლისფერი გულწრფელობითა და თავდადებით რჩება ყველაზე ნათელ ფერად თავისუფლებისაკენ სავლელ შარაგზაზე.

# გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია სამტრედიაში





ქეთევან ზედიძე

პროგრამის " EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი სრიგპ-ს რეგიონებში" დირექტორი ქრისტოფ ბაუერი თავის სხვა უცხოელ კოლეგებთან და მრჩეველებთან რუსუდან დევდარიანთან, აკაკი რუხაძესთან, ნინო ხუხუასა და მარიამ ჟორჟიკაშვილთან ერთად ეწვია სამტრედიას.

მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ მერის მოადგილეებთან,ვლადიმერ ზაქრაძესა და გია მეიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან ერთად სტუმრებს ის ადგილები დაათვალიერებინა, სადაც შეიძლება მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტები დაიგეგმოს და განვითარდეს.

"EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი სრიგპ-ს რეგიონებში" ურბანულ განვითარებას ითვალისწინებს, პროგრამა ხორციელდება GIZ-ს მიერ, "კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის" სამხრეთ კავკასიის ფარგლებში, ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. მისი მიზანია ცხოვრების გაუმჯობესება გურიის, იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტი 2022-2025 წლებს მოიცავს, რომლის ბიუჯეტი 7,5 მილიონ ევროს შეადგენს.



დავით ბახტაძემ სტუმრებს სხვადასხვა ლოკაცია დაათვალიერებინა და დეტალურად ახსნა, პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, რამდენად გააუმჯობესებს ის ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს.

"პროგრამის ხელმძღვანელებს ადგილობრივი რესურსი და პერსპექტივები გავაცანით. ვიმსჯელეთ უმნიშვნელოვანესი პროექტების იდეაზე, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ჩვენი მხრიდან მაქსიმუმი გაკეთდება, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდეს. ჯერჯერობით იდეის დონეზეა საცხენოსნო კლუბში ჰიპოთერაპიის დანერგვა და ბორნის კეთილმოწყობა". – განაცხადა დავით ბახტაძემ.



აქვე უნდა ითქვას, რომ გერმანელმა სტუმრებმა განსაკუთრებით მოიწონეს და თავისი დადებითი ემოციები დააფიქსირეს საცხენოსნო კლუბის მიმართ. მოიწონეს ასევე, სოფელ ნაბაკევში სკვერის მოწყობა და მდინარე რიონზე ბორნითაც გაისეირნეს.

იმავე დღეს მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე ჟურნალისტებთან ერთად რკინიგზელთა დასახლებაში მივიდა, სადაც ფერისცვალების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასა და ხვედელიძის ქუჩის გაგრძელებაზე ასფალტბეტონის საფარი იგებოდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ინდიკო" ასრულებს.

გზის დაგებით კმაყოფილება გამოთქვა ადგილობრივმა მცხოვრებმა როლანდ ჯულაყიძემ. დასძინა, რომ 30 წელზე მეტია, ქუჩის რეაბილიტაცია არ მომხდარა. მადლობა გადაუხადა მერს, სიტყვა რომ შეასრულა და აქაურებს საშუალება მისცა, უპრობლემოდ გადაადგილდნენ ქუჩაზე.

გზების სარემონტო სამუშაოები გაგრძელდება და მისი საერთო რაოდენობა პირველი ეტაპისთვის 35 კილომეტრი იქნება. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.





# თხილავების უბანს რეაბილიტირებული გზა ექნება





თეა ბაბუნაშვილი

*ლანირელებმა და არა მხოლოდ მათ, სამტრედიელების უმრავლესობამ კარგად იცის საუკუნეს მიტანებული იმ ხის შენობის ფასი, ერთადერთი პირველი საგანმანათლებლო სასწავლებელი რომ იყო სამტრედიის რაიონში. ეს სწორედ ის დაწყებითი სკოლაა, ასწლოვანი ხევებით დაბურულ ეზოში იდუმალებით რომ ჰყვება ამ პატარა სოფლის ისტორიას. აქ არაერთი ისეთი მოსწავლე აღიზარდა, არა მხოლოდ მშობლიური ლანირისა და სამტრედიის, საქართველოს სახელი რომ გაიტანა მის საზღვრებს გარეთ. იმ სკოლას, სადაც ვახტანგ და ბენედიქტე ბალავაძეებს, ეროსი მანჯგალაძეს და კიდევ ბევრ სხვა წარმატებულ ადამიანს მიუღია დაწყებითი განათლება, კარგა ხანია, რეაბილიტაცია სჭირდება. განსაკუთრებულ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს დაწყებითი სკოლის საუკუნეს გადაცილებული შენობა სოფელ ლანირში. წინა თვეში, ძლიერი ქარისას მოტეხილმა ხემ დააზიანა მისი სახურავი და ადგილობრივი მკვიდრის, კახი ბახილაშვილის მონდომებითა და დაფინანსებით სახურავის აღდგენითი სამუშაოები ადგილობრივი ძალებით აქტიურად მიმდინარეობს.*

ლანირში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებელი სამუშაოს სანახავად ჩასული მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, პირველი გაჩერებაც სწორედ ამ სკოლასთან იყო. მან ისიც აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე არსებულ ამ სკოლას ყურადღებას არც ადგილობრივი ძალებით მოაკლებენ, რადგან იგი სამტრედიის ისტორიის მნიშვნელოვანი რარიტეტია.

რაც შეეხება სტუმრობის ძირითად მიზეზს, ისევე როგორც სხვა არაერთ ადგილას სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ლანირის თემში, თხილავების უბანში გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ასფალტბეტონის საფარი თხილავების უბანში საკმაოდ დიდ მონაკვეთზე დაიგება. დავით ბახტაძე აღნიშნავდა, რომ: "სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, სამტრედიაში მიმდინარე წლის ჯამში 35 კილომეტრამდე გზა უკვე რეაბილიტირებულია. რაც შეეხება ამ კონკრეტულ მონაკვეთს, სამუშაო 203 336 ლარის მოცულობისაა. გარდა ამ უბნისა, სადაც გზის საფარის განი 4 მეტრი, სისქე კი 5 სმ-ი იქნება, სამუშაოები წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთანაც ჩატარდება. ამ კონკრეტულ მონაკვეთზე გზის განი 4,5 მეტრი იქნება. ისევე როგორც ყველა სხვა სოფელში, აქაც საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დადებითად უპირველესად აგრობიზნესის განვითარებაზე აისახება. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ კომფორტულ გადაადგილებასაც უწყობს ხელს."

მუნიციპალიტეტის მერთან საუბრისას, სამუშაოების შემყურე ადგილობრივები კმაყოფილებასთან ერთად სხვა პრობლემების მოგვარების დაპირებასაც იღებდნენ.

# შესრულებული დაპირება აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის





გომის თემის სოფელ კორმაღალში, მუნიციპალიტეტის მერის დანაპირებს იხსენებდნენ, გზა გექნებათ, ამაზე პირადად ვიზრუნებო. პირობა შეასრულაო, ამბობდა შორენა გიორგაძე. აქაური მკვიდრი და მიმდინარე სამუშაოებს ადგილობრივ და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთდ ადევნებდა თვალყურს. სოფელში მცხოვრებ უფროსი თაობის ადამიანებსაც არ ახსოვთ აქ ასფალტბეტონით მოპირკეთებული გზა, არც კომუნისტების დროს ყოფილაო, კეთილდღეობის ნიშნულად კომუნისტებს ასახელებენ და დასძენენ: "მოასფალტებული არ ყოფილა, მაგრამ მოწეული პროდუქტის ჩატანა მაშინაც არ გვიჭირდა ქალაქში, სოფელიც მჭიდროდ დასახლებული იყო და სამსახურებშიც ტრანსპორტით დავდიოდით, რაც მერე და მერე ძალიან გაჭირდა. გზა არ იყო და არა მხოლოდ ამ მიზეზით, მაგრამ სოფელი ნელ-ნელა დაიცალა". ამიერიდან კი იმედი აქვთ, ბევრი რამ გაადვილდება და იქნებ სოფელზე გულაცრუებული ახალგაზრდებიც ნელ-ნელა დაუბრუნდნენ აქაურობას.

"მოწესრიგებული მისასვლელი გზა ერთ-ერთი უპირველესი საჭიროებაა სოფლისთვის. მით უფრო, მაღალმთიანი სოფლისთვის. აგრობიზნესის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამაზე. მოწეული სოფლის პროდუქტების ქალაქის ცენტრამდე, აგრარულ ბაზრამდე ჩატანა და რეალიზაცია გაუადვილდებათ გლეხებს. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არაერთი სხვა პრობლემის შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარებას განაპირობებს." – ამბობს მუნიციპალიტეტის მერის ახლად დანიშნული პირველი მოადგილე, ლადო ზაქრაძე.

რაც შეეხება გზას, რომელზეც მიმდინარე სამუშაოები კომპანია "არქეოპოლისის" მიერ გრაფიკის სრული დაცვით მიმდინარეობს, 1208 გრძივ მეტრზე დაიგება. იგი გომის თემის რამდენიმე სოფელს, აგრეთვე, გომის თემს ოფშკვითის თემთან აკავშირებს. მისი რეაბილიტაცია, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს.

გარდა ამისა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ბეტონის საფარით მოწესრიგდება მისასვლელი გზა სოფელ გომშუხაყრუაში. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი გამოყოფილ თანხაში მხოლოდ 5 პროცენტია. სამუშაოებს შპს "გარა" ასრულებს. 353 მეტრზე ბეტონის გზის საფარი 4 მეტრიანი განითა და 16 სმ-იანი სისქით იგება. სამუშაო ნოლის მონაკვეთთან ერთად 88 ათას ლარზეა გათვლილი. აქ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარე განათებაც მოეწყობა.

მიმდინარე სამუშაოებს მერის პირველ მოადგილესთან ერთად მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა სტურუა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგიაც აკვირდებოდნენ.

თეა ბაბუნაშვილი

## 22 აპრილი დედამიწის დღეა!

*სოფარული ატრიალებს დედამიწას, – ბრძანებს ქართველი კლასიკოსი, თუმცა ჩვენი უმეცრებისთვისაც ბევრჯერ მოუგვიელინა უფალმა განსაცდელი. არაერთხელ "იძრა დედამიწა და იქნა მსხვერპლი ურიცხვი", ახლა გრივალები – დამანგრეველი ქარები, ღვარცოფები, ცუნამი, ხანძრები...*

*ერთი სიტყვით, გული ვატკინეთ დედამიწას და მანაც ცხელ ლავად დაგვიბრუნა კაცობრიობას ჩვენში მეტნაკლებად დაბუდებული ბოღმა-ღვარძლი, შური.*

დახვეწილი კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს მივიდა დასკვნამდე, რამდენადმე რომ ეწამლა სამყაროსათვის და 22 აპრილს დედამიწის დღის აღნიშვნა დაწესდა.

"დედამიწას, სამყაროს არა რომელიმე კონკრეტული თარიღების დროს, საერთოდ ყოველთვის უნდა ვუფრთხილდებოდეთ, თითოეული დარგული ხე, ბუჩქი ჩვენს მომავალს, ისევ ჩვენ გვჭირდება, განსაკუთრებით ახალგაზრდები უნდა ზრუნავდნენ დედამიწაზე, ფლორისა და ფაუნის სიჯანსაღესა და მრავალფეროვნებაზე". – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ და აღნიშნა, რომ ნაპაკვეის ტერიტორიულ ერთეულში მოწყობის პროცესში მყოფი რეკრეაციული სივრცე მთელი მუნიციპალიტეტისათვის შესანიშნავი შენაძენი იქნებაო.

"დამერწმუნეთ, ძალიან მიყვარს შრომა, ათეულობით ხემცენარე დავრგე წელს. დედამიწას, დიახაც რომ, უნდა გავუფრთხილდეთ". – გვეუბნება საკრებულოს წევრი, ბატონი ბადრი შენგელია.

როგორც ყოველთვის, წელსაც აღინიშნება სამტრედიაში დედამიწის საერთაშორისო დღე, წელსაც დარგავენ ხეებს, ბუჩქებს, მაგრამ, მაგრამ წელსაც ქალაქის ცენტრში რამდენიმე წლობით ნაზარდი წიწვოვნები დაანარცხეს მიწას...

ასე იყო, ასეა და ასე არ უნდა ხდებოდეს...

ლევან ბაბეჩავა



# "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა..."



ბუნებაში არსებობს გარკვეული კანონზომიერებანი. უფალი ყველას აძლევს საკუთარი ცხოვრების გზის არჩევის საშუალებას. და რაოდენ სასიხარულოა, როცა ადამიანი სიკეთის, მადლისა და სიყვარულის გზას ირჩევს. სწორედ ეს გზა აირჩია თავიდანვე კალაძეების ოჯახმა. ჯერ იყო და კარლო კალაძემ დაიწყო კეთილი საქმეების კეთება. ყოველდღიური ყოფითი პრობლემების მიუხედავად, არასდროს ივიწყებდა იმათ, ვისაც მოფერება, სითბო და დახმარება სჭირდებოდა. შემდეგ შვილი, არა მხოლოდ დედის თვალისჩინად რომ გაუჩენია უფალს... და ამ ყველაფერს აკეთებენ ჩუმად, უხმაუროდ, ყოველგვარი ზედმეტი ყურადღების გარეშე. როგორ დაიწყო... ახლა რომ ვიხსენებ, 12 წლის წინ მარტომ, როგორი შიშით დავიწყე– როცა ქუჩაში შშმ პირებს ვხედავდი, ყოველთვის მინნდებოდა სურვილი, რაღაცით დავხმარებოდი. მაგრამ, მოფერების გარდა, არც არაფერი შემეძლო. ვთვლიდი, რომ ჩემი მწირი ფინანსებით ვერას გავხდებოდი. მაგრამ მაინც გავრისკე: ძალიან სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება და ინკლუზიური განათლების ცენტრი "მადლი 50-50" დავაფუძნე. თავდაპირველად ურთულესი დღეები გავიარე, მაგრამ ვინც არ რისკავსო, ხომ გაგიგონიათ... მაგრამ! ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შეიცვალა. გამოჩნდა ადამიანი, რომელიც გვერდით დამიდგა და ჩემთან ერთად დაიწყო მძიმე და ამავდროულად, სასიამოვნო ტვირთის ტარება. ამის შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. ცენტრის ბენეფიციარები –შშმ პირები– ყოველ დილით დამყავდა სახლიდან ცენტრში, სადაც მათთვის განკუთვნილი იყო უფასო კვება, სხვადასხვა სპეციალური აქტივობა და შემდეგ ისევ სახლებში ვაბრუნებდი; ყოველ ზაფხულს ურეკში დაგვყავდა ერთი თვით დასასვენებლად, თავიანთ დედმამიშვილებთან ერთად; ცხადია – უფასოდ. მალევე დავაარსე შპს "მადლი-50", რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა მიკრო-ავტობუსები. ეს ტრანსპორტი ქალაქის ყველა საავადმყოფოს ერთმანეთთან აკავშირებდა და უფასოდ ემსახურებოდა შშმ პირებსა და საავადმყოფოს თანამშრომლებს. შშმ პირები კი დამყავდა ყოველ კვირას წირვებზე ბაგრატის ტაძარში და ეკლესია-მონასტრებში მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს ყველაფერი ბატონ კარლო კალაძის თანადგომით შევძელი. როცა ვიწყებდი, ვერც კი წარმომედგინა, თუ ვინმე დაუდგებოდა ამ ორგანიზაციას გვერდით, ბავშვების ტკივილსა და პრობლემებს გაითავისებდა და ამ უდიდესი ტვირთის ზიდვაში შემეხიდებოდა. ასეთები აღმოჩნდნენ ქალბატონი მედეა შენგელია და ბატონი კარლო კალაძე. ადამიანები, რომლებიც არასდროს ივიწყებენ "მადლი 50-50-ის" ბენეფიციარებს. დროა თქმა სჯობს... რთულია, ათეული წელი გვერდით გედგას ძლიერი მეცენატი და მასზე არ საუბრობდე. ძნელია, ვინმეს დახმარებით აკეთებდე ზღვა ქველმოქმედებას და მის სახელს არ ამხელდე. ვთვლი, რომ დადგა დრო, დაფარული გაცხადდეს და ხმამაღლა ვთქვა: თუ რამ კარგი მიკეთებია "მადლი 50-50-ის" სახელით, მხოლოდ ქალბატონ მედეასა და ბატონი კარლოს შემწეობით და დახმარებით. ვიცი, კეთილის ქმნას სიჩუმე უყვარს; მარცხენამ არ უნდა იცოდეს, რას იქმს მარჯვენაო. ამიტომაც არ უნდოდათ მათ საკუთარი ქველმოქმედების აფიშირება. მაგრამ აქაც ხომ არის კანონზომიერება?! როდესაც შენი პრობლემების თანაზიარის, შენი გვერდით მდგომის მიმართ მადლიერება გინდა გამოხატო?! ჰოდა, ჩავთვალე, რომ საჯაროდ გავთქვა კეთილმოწყალე, გულისხმიერი ადამიანების სახელები. და განა მარტო მათი?! სხვაგვარი როგორ იქნებოდა მათი შვილი?! მახსოვს, როცა იტალიაში ცხოვრების დროს საქართველოში შეჭირვებული ოჯახებისთვის დასახმარებელ თანხას გამოაგზავნიდა. თან დააყოლებდა ხოლმე, რომ მიცემთ, არ არის აუცილებელი, ჩემი გვარიც უთხრათო. რამდენი ასეთი საქმე უკეთებიათ უშურველად, სიყვარულით, სულგრძელად... ეს მათი ცხოვრების წესია, სხვაგვარად არ შეუძლიათ. ეს მინდოდა ამ პატარა წერილით მეთქვა. მეთქვა ის, რაზეც არც ქალბატონი მედეა, არც ბატონი კარლო და ბატონი კახი არასდროს საუბრობენ. მეთქვა, თუ როგორ უყვართ ადამიანები და როგორ ათბობენ თავიანთი დიდი, კეთილი გულით სამყაროს. არადა, ძალიან დიდია ბატონი კარლო პატარა წერილისთვის. თითქოს კუშტი და მკაცრი, სიოცრად გულჩვილი და დიდსულოვანი... ეპილოგისთვის... ყველა ქალაქს აქვს საკუთარი ისტორია. ბუნებრივია, არც სამტრედიაა გამონაკლისი. ქალაქის სტატუსი მას ერთი საუკუნის წინ მიენიჭა. მე ამაყი ვარ, რომ ჩემი ფესვები იქაა, ჩემი წინაპრების საფლავებიც იქაა, ჩემი ბავშვობა და ყველაზე ბედნიერი დღეები იქ მაქვს გატარებული... ვთვლი, რომ სამტრედია იმსახურებს, მანაც აღნიშნოს ქალაქობის დღესასწაული – სამტრედიობა. აღნიშვნის თარიღად კი 2 სექტემბერი დაწესდეს. რატომ, გასული წლის 2 სექტემბერს, ჩემს შშმ პირებთან ერთად, გრანდიოზული ღონისძიება გავმართე ამ ქალაქში "მადლი 50-50-ის" სახელით. აღნიშნულ ღონისძიებაზე უკვე გაჟღერდა ეს ინიციატივა და მას სამტრედიის მკვიდრთა უმრავლესობა მიესალმა. ბატონმა კარლომ ცრემლის გარეშე ვერ გაუშვა იმ საღამოს მისი სტუმრები. ალალი იყო ეს ცრემლი. მოდით, სადაც გულწრფელობა და სიალალეა, ჩვენც იქ ვიყოთ.

ქრისტესმიერი სიყვარულით
შორენა ამაღლობელი

# საშა გველესიანის პოეზია ღრმა მონოლოგია მკითხველთან

***ზესტაფონის მკვიდრს საშა გველესიანის, ლექსებს რომ გავეცანი, ორიოდე წლის წინ, უნებურად გავიფიქრე, ენა ხომ ლინგვისტური თვალთახედვით ადამიანთა კომუნიკაციის საშუალებაა, ერის ფარგლებში თუ ერთა შორის, მაგრამ რა უნდა ეწოდოს პოეტს, რომელიც ენის საშუალებით, რომელიც ჩვეულებრივ სალაპარაკო რუტინაა, პოეზიის გარკვეული ხერხებით, მეტაფორიზმებით თუ ჰიპერბოლებით გაჯერებული ასე ლამაზად გამართულ ლექსებს სწერს? ალბათ, მეტად ნიჭიერი პოეტი, რომელიც დაჯილდოვებულია სილამაზის აღქმის ღვთაებრივი უნარით? გებადება სურვილი, ბევრი ლექსი დაიზეპირო კიდეც.***

ბატონ საშას პოეზიაში ღვთაებრივი მადლიც ჭარბადაა და ზოგად ადამიანურ პრობლემებზე საუბარიც. პოეზიის ენა მკითხველთან შენი ნაფიქრალის მიტანის საუკეთესო საშუალებაა. რომელი ერთი მშვენიერი სტრიქონები წაგიკითხოთ. მომეჩვენა, რომ ეს წიგნი, თავიდან ბოლომდე ღრმად შეკუმშული ტკივილია, ადამიანური ყოფის არარაობის გამო, და ბოლოს სიყვარულის ლამაზ და საკვირველ გრძნობას რომ უხდება საბოლოოდ მისი გასაპატაკება. ავტორი ყოველივე მშვენიერის და არა მარტო მისი შემკობწოწებულია. ლექსი ათჯერ მეტად კომუნიკალურია, ვიდრე პროზა. ცალმხრივ დიალოგში, მაგრამ დუმილში იგი მოგვითხრობს ჯადოსნურად თავის გარემომცველ სამყაროზე და ასე შედის იგი მონოლოგში მკითხველთან. მისი ლექსის სხეულს ზოგჯერ მორგებული აქვს თეატრალური ნილაბი. ზოგჯერ მღერის, ცრემლიანს და ნაცრით ნაზავს, თისაც შემოდის ხაშენ მასალად, ღვთიური სხეულისა და ცრემლიან-სულიანად იქცეულ საწუთროსი. ბიბლიური პასაჟებიც უხვადაა. არ აკლია არც შექსპირისეული ფილოსოფია "ცხოვრება თეატრია', თუმცაღა არც ისე მძაფრად "დაშნიანი რაინდის" უტიფრობით როდი განცმირავს უბადრუკი ისტორიის პირსისხლიან დრაკონს. ლექსში "დეკორაცია სპექტაკლისათვის 'აპოკალიფსი". ხომ აპოკალიფსური უბადრუკობის ნაყოფად განჩნილა ადამიანი, მისი ხაშველი არ არის თუ გინდ ჯვარს ეცვას, დანიის პრინცი ჰამლეტი კი ამოიგმინებს: "არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!" ერთ მარგინალურ ფრაზაშია ნატეული ყოფიერების ჭაობი. ავტორი ნამდვილი თეატრალის აღლოით, (პროფესიითაც ხომ თეატრალია) სწვდება მარადიულ პრობლემებს, არ ეშლება ხელ მცირე ნიუანსებიც კი, დროულად სვამს დიაგნოზს, როგორც განსწავლული დოსტაქარი:

"გარყვნილ ოქროში ატეხილი სასახლეების

ალვირახსნილი ვეეშურა და ორგიები,

ისატებიან ძრდილები და სახეები

ბალთასარების, ნერონების და ბორჯიების", – ისტორიის მხატვრული გააზრებაა. თითქმის "ბაირონისებური" სიმძაფრით. ზოგჯერ ლხინის ღმერთის "დიონისეს" კულტი პროვოცირებს, როგორც ქართველის საყვარელი ღმერთის ბახუსის თაყვანისმცემლისა:

"ეხატავ მაძღარ და მსუყე წკრიალს დიდრონ

ჭიქების და ახდენილი სურვილების,

დაშაქრულ წამებს, შორით მაცქერალ;

ლანდადქცეულ დისტროფიკების ნერწყვში

დამხვრჩვალ და ცრემლის პურით გათელ დამეს".

მაღალი პოეზიაა. ბევრგან ავტორის განცდები მიილტვის

იქ სადაც პოეზიის ინტეგრალებია და ზოგჯერ ეფემერებიც გაიელვებს გალაკტიონისეული გაელვებით და "სიცოცის თარეში" იქ, იმ "სამუდამო მხარეში". სიკვდილს არ უწოდებს გარდაცვალებას არამედ "მარადისობას". მისი მოქალაქეობრივი პოზიცია ჩანს შეფარვით, ნიუანსებით და არა გამოკვეთილი დათარიღებული თემებით, ანუ მარადისობის ასპექტებით გამოხატული ლექსად ჩამოქნილ ადამიანურ ტკივილებში;

"მოიაზრება ზედმეტ შტრიხად (ყველა

ჩემშია) დედის მუცელში ვინც ცრემლად

და

დარდად ჩასახეს... სადღაც ჩრდილებად

გაბნეულან, ვინც (შეგმშია) და დავიწყების

კუნძულზე გადაასახლეს. – ოღონდაც არა დავიწყებისაკენ და არარაობისაკენ. "თეატრის ნაბნელებულ" დარბაზში სიჩუმეს დაისადგურა სამარისებურმა რომ იტევიან. იწყება სპექტაკლი, ოღონდ ნამდვილი ადამიანური თეატრისა, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და რომლის კანონები უფრო "ჯუნგლებისას" თუ მიესადაგება, ვიდრე თეატრისას, სადაც ყველაფერი უნისონშია ერთიერთთან, მონოტონური და თეატრალიზებულია, თავად მისი უდიდებულესობა ხელოვნების მიერ;

"დარბაზს ძვირფასი სავერდი და ფარჩა

აცვია, იხსნება ფარდა, ადგილ-ადგილ

ტაშიც გაისმის... ვიღაცას ისე დაუწყვია დეკორაცია

იწყება სცენა – პრემიერა "აპოკალიფსის".

ძვირფას პოეტურ სამოსში გამოწყობილი ვერლიბრია. საუკეთესოა. არანაირი სამეტყველო ენა, მართლწერა, მეტაფორა, რითმა, რიტმი ყველაფერი თავის ადგილზეა. ავტორი მუდამ ახლის ძიებაშია. ეს ლექსები საყვარელია, რომ წლების განმავლობაში ჩრდილს ეფარებოდა და არ იცნობდა მკითხველთა მასა. ავტორის თავმდაბლობის გამო თუმცა, აქა-იქ, ალბათ, პრესაში და ინტერნეტში გაიელვებდა. მოგვიანებით ისევ ერთად მოიყარა თავი და მათი ერთად წაკითხვა აჭრის ძლიერ მხატვრულ შთაბეჭდილებას, რაც ედარება, ხატოვნად რომ ვთქვათ "ოცნების ეტლით მარადისობის სამყოფში გასეირნებას" ლექსების სათაურებიც კი მიგვანიშნებს ამას: "ქალაქი", "სიბნელე", "სიცარიელე", "სარკმელი", "დრო", "ნისლების სიდი", "წვიმს ოცნებების გარდაცვალებით', "საათი" და სხვა. რომელი ერთი ნამოვთვალო, ყველაში დევს თუნდაც თითო მარცვალი პოეზიისა და მერე როგორი მაღალი პოეზიისა, თუმცა ამ ჩვენ საყვარელ იმერეთში რა გასაკვირია, გ. რობაქიძის ძირეულ მხარეში ასეთი ამაღლებული, მრავლისმთქმელი, ტევადი და მარად სათნო ნამდვილი ლექსი და პოეზია" აი, თუნდაც ერთ-ერთი იმათგანი:

"შენ იცი უფალო...
რა უნდა გაწყენო!
სხვა ანგელოზების
შური მჭირს, უფალო,
იმ გლახის, იმ გლეხის –
მათხოვრის მფარველთა,
დადიან უხიფრო,
სინდისთან უფალო...
ჩემმა კი გაყიდა სული
და გახელდა,
მოყვასის ჭამა და ზედ
სისხლის მიწება
ისწავლა..."

მართლმადიდებელთა სულის გამოხატულებაა ლექსი "ანიდან ჰოემდე". ლექსებში მრავლადაა პატრიოტული თემატიკა, დაუვიწყარი დიდი მამულიშვილებისადმი მიძღვნილი მშვენიერი ლექსები. კარგია თუ ზოგჯერ პესიმიზმის მოძალებას პოეტი თუნდაც ხელოვნურად მოგვრიდ ღიმილს, იუმორს ნაანაცვლებს, რამეთუ ჭეშმარიტი ხელოვნება არასოდეს დაეშორტება ბატონ საშას მსგავს შემოქმედს. ერთი ლექსიდან ამონარიდით დავასრულებ ამ წერილს, ლექსს ჰქვია "მოყმე" და რომელიც ამხელს პოეტის დიდ შემოქმედებით კრედოს.

"ტყავში გამომკვრეთ, თუ ვარ ღლენაკლული,

და ძველი კოლხიდით მუხაზე გამკიდეთ,

ანდა ხალიბური მომეცით მახვილი,

მგელივით მაყმუყლეთ და მტერთან წამკიდეთ.

ამით ის ძველი კოლხური ჩვეულება ახალ სიცოცხლეს იძენს, და ასე მთავრდება:

"დაურწყულებელი და სულმოუთქმელი,

შენს ნამცეცს და მისხალს ფესვებში ვიმარხავ,

შეყხარი შენს ღიმილს შემხმარი ურთხმელი,

მოყმე ვარ, ხარი ვარ და ძალუმად მიყვარხარ".

მოამზადა მერაბ ჩაჩავამ

# ინტელექტუალური ტურნირი მწერალ გიორგი ხარაიშვილის გუნდმა მოიგო

## რა დაგვიწუნა გამარჯვებული გუნდის კაპიტანმა?

ნათია ნაცვლიშვილი

*სამტრედიის მუნიციპალიტეტმა 2-3 აპრილს მასშტაბურ ინტელექტუალურ ტურნირს უმასპინძლა. კოვიდპანდემიის გამო ძმებ იოანე და თემურ ვაშაკიძეების სამტრედიის მუნიციპალური მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში "რა? სად? როდის?", "ბრეინრინგი", "ჯეპარდი" და "მუსიკალური ტურნირი" სამი წლის დაგვიანებით ჩატარდა. ჩვენს მუნიციპალიტეტს კვლავ ეწვივნენ ტიტულოვანი მოთამაშეები და სასტუმრო "კოლხში" ორი დღის განმავლობაში ტვინთა ნამდვილი შერკინება გაიმართა. კითხვების ავტორები სამტრედიის ინტელექტკლუბის "ინტერსტელარის" წევრები: გიორგი ჩაჩუა, ლევან ცირეკიძე, გიგა ჩალიგავა, საბა კაცაძე, მამუკა კილურაძე არიან. საღამო ხწორედ გიგა ჩალიგავამ წაიყვანა. ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და "ინტერსტელარის" კაპიტანმა, გიორგი ჩაჩუამ გახსნა ღონისძიება, მადლობა გადაუხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას და "ელსი ვაიკეს" ტურნირის ფინანსური მხარდაჭერისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს.*

---

დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლის დირექტორმა, მანანა ხაზალიამ გუნდ "მეგობრებს" გადასცა სკოლის მიერ დაწესებული პრიზი "სიბრძნის ენციკლოპედია", საბა კაცაძემ და მამუკა კილურაძემ "ფიფას" ტურნირი მოიგეს და პრიზი დაიმსახურეს, "ჯეპარდში" ოთხი საპრიზო ადგილის მფლობელი გამოავლინეს, პირველ ადგილზე სამტრედიული წარმოშობის თორნიკე ჯანგველაძე გავიდა. (საპრიზო ფონდი 400 ლარი).

"ბრეინ რინგში" გამარჯვებულია გუნდი "ჰაიზელბერგი" (დავით ქორქოლიანი). გამარჯვებულ გუნდს 300 ლარი გადაეცა.

თამაშში "რა? სად? როდის?" მეხუთე ადგილზე გუნდი "26 საათი" გავიდა, მეოთხე ადგილზე – "ალიგატორი" მესამე ადგილის მფლობელი "ბოკა ხუნიორსია", (კაპიტანი გიორგი ქობულაშვილი). მესამე ადგილოსან გუნდს 800 ლარი გადაეცა. მეორე ადგილზე მწერალ ალექსანდრე ლორთქიფანიძის გუნდი "დომინო", პირველზე კი, ასევე მწერლის, პროფესიით იურისტის, გიორგი ხარაიშვილის გუნდი "ჯაგუმორი" გავიდა. პირველადგილოსანი გუნდი 2000 ლარით, ხოლო მეორეადგილოსანი – 1200 ლარით დაჯილდოვდა.

"სამტრედიის მაცნე" გამარჯვებული გუნდების კაპიტნებს გაესაუბრა. გიორგი ხარაიშვილი: "თქვენს ქალაქში უკვე მეორედ ვარ ამ ტურნირის სტუმარი, გავაერთიანეთ გუნდები "ჯაგერნაუტი" და "ნევერმორი", პირველ დღეს კონკურენტმა გუნდებმა რეტი დაგვასხეს, არ ამოგვასუნთქეს "დომინომ" და "26-ე საათმა", მაგრამ მეორე დღეს კარგად გავუსწორით, ტურნირი ძალიან კარგი იყო, მაღალი ხარისხის იყო კითხვები, ზოგადად სამტრედია წყნარი, მშვიდი ქალაქია. რაც არ მომეწონა თქვენთან, ეს სასტუმროების ნაკლებობაა, მოგვიწია აქედან შორს დაგვეჯავშნა ადგილი."

ალექსანდრე ლორთქიფანიძე: "ძალიან კმაყოფილები ვართ, ამას აქვს რამდენიმე მიზეზი: ტურნირზე ბრწყინვალე ატმოსფერო იყო შექმნილი, კითხვების ხარისხი იყო მაღალი, ტურნირი გამოვიდა აზარტული და ძალიან კარგი."

გიორგი ქობულაშვილი: "მიღწეულით კმაყოფილი არ ვარ, პირველ დღეს თამაში გვიან დამთავრდა, გამთენიისას 5-6 საათზე, ღამით ხოფელ დიდ კუხში დავრჩით ანტონ ვაჭარაძესთან, ამ დილით ცხრაზე აქ ვიყავით, საკმაოდ შრომატევადი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ, ამავდროულად, სასიამოვნოც. "

სამი წლის წინ ამ ტურნირის შესახებ საკუთარ ფეისბუქგვერდზე სამადლობელი პოსტი დადო თორნიკე ჯანგველაძემ, ბრუნდებოდა თუ არა წლეულსაც დედაქალაქში იმავე განწყობით, ამ კითხვით მივმართეთ მას. "დიახ, იგივეს გავიმეორებდი ახლაც, რამდენად კმაყოფილნი ვართ საკუთარი თამაშით? "ჯაგერნაუტთან" მოგება ასე ადვილი არ არის, კითხვებიც მომეწონა და გარემოც.

– სამტრედიას რამდენად ხშირად სტუმრობთ?

– მშობლები აქ არიან, მაგრამ აქ ჩამოსვლა იშვიათად მიწევს."

ტურნირის დაწყების წინაც მიესალმა და ბოლოს კვლავ სიტყვით მიმართა შეხვედრის მონაწილეებს მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ: "მადლობა ყველა მონაწილეს, მადლობა სამტრედიელ ინტელექტუალებს ამ ტურნირის დაარსებისათვის, ტურნირის ხარისხის წლიდან წლამდე გაუმჯობესებისათვის, უდავოდ დიდი შრომა გასწიეს, მიმაჩნია, რომ ეს შესანიშნავი ღონისძიება არ უნდა იყოს ერთჯერადი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია მზადაა, თქვენთან ერთად განვსაზღვროთ პერიოდულობა, რაც თქვენთვის იქნება მისაღები. არა მარტო ერთჯერ, წელიწადში ორჯერ თუ ჩატარდება, ეს ქალაქსაც წაადგება და ქვეყანასაც, რადგან განათლებული, მაღალი ინტელექტის ადამიანების სიმრავლე უნდა იყოს ქვეყანაში, თქვენი აქ მოსვლით ცხადჰყავით, რომ მობრძანდით არამარტო პროფესიონალიზმის და ინტელექტის გამოსავლენად, არამედ იოანე და თემურ ვაშაკიძეების ოჯახის მხარდასაჭერადაც."

გამარჯვებული გუნდების დასაჩუქრებაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მოადგილე გიორგი მეიშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა სტურუამ, ასევე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

ტურნირის შეჯამება გიორგი ჩაჩუას, კლუბ "ინტერსტელარის" პრეზიდენტს ვთხოვეთ:

"ნამდვილად დიდი მოლოდინი იყო ამ ტურნირის მიმართ და როგორც მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, მემორიალმა ეს მოლოდინი გაამართლა. მას გუნდების სიმრავლეც მოწმობს, ტურნირში მონაწილეობდნენ სუპერლიგის უძლიერესი წარმომადგენლები და სატელევიზიო თამაშის "რა? სად? როდის?" მოაზროვნეები, ბროლის ბუს მფლობელები, აგრეთვე, უმაღლესი ლიგების და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები.

წლეულს საპრიზო ფონდიც სოლიდური გვქონდა: ტურნირის მთავარ ორგანიზატორთან, სამტრედიის მერიასთან ერთად მასში ჩაერთო თანასპონსორი "ელსი ვაიკი," ასევე დაწესებული იყო სხვადასხვა წამახალისებელი პრიზი, შესაბამისად, ტურნირიც საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდა.

ორგანიზატორებმა უკვე დავიწყეთ მზადება მომავალი ტურნირისათვის, რომელშიც კიდევ უფრო შევეცდებით დავხვეწოთ და მაღალ დონეზე ავიყვანოთ იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალი, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა თავისი სახელი ინტელექტუალურ ტურნირებს შორის, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე ორგანიზებულმა და გამორჩეულმა მარათონმა, რაც კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით გვავსებს. სამტრედიის ინტელექტკლუბის სახელით მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა მემორიალის მაღალ დონეზე ჩატარებაში".
















## 24 აპრილს აღდგომაა, გილოცავთ!

აღდგომა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავი მთავარი ქრისტიანული დღესასწაულია, მოძრავი, აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს, ებრაული პასექის სწორს, მისის რომელიმე კვირა დღეზე (ახალი სტილით 4.IV-დან 8V -მდე).

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ დიდმარხვა უსწრებს, რომელიც მორწმუნეებს ამზადებს აღდგომის შესახვედრად.

დღესასწაული ერთ კვირას გრძელდება.

უძველესი ტრადიციის მიხედვით, სააღდგომოდ მორწმუნენი კვერცხებს წითლად ღებავენ. წითელი ფერი მათთვის ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.

მკვდრეთით აღმდგარმა მაცხოვარმა დაიცვას და გააძლიეროს სრულიად საქართველო!

გილოცავთ!

ლევან ბაბუნაშვა




## წიგნი თავისუფლებას მანიჭებს

*ნიჭიერი პერსპექტიული ახალგაზრდების მიღწევებისა და წარმატების თაობაზე "სამტრედიის მაცნე" სისტემატურად წერს. ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევთ და კიდევ ერთ ნიჭიერ, პერსპექტიულ კაცს გავაცნობთ მკითხველს.*

*ორიოდე წლის წინ, პანდემიამდე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში მორიგი ღონისძიება მიმდინარეობდა, დახვეწილი, საინტერესო მსჯელობით სწორედ მაშინ მიიპყრო ჩვენი ყურადღება სამტრედიელმა ბენიამინ ახატურიანმა.*

*ამ დღეებში, პანდემიური შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ისევ ბიბლიოთეკაში შევხვდით მას და ჩვენი საუბარიც შედგა.*



დაიბადა 1997 წელს, დაამთავრა სამტრედიის №4 საჯარო სკოლა, ამჟამად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტია. რაკილა ბევრი ფაქტი გაყალბებულია, ამდენად მისი სურვილია ისტორიული ფაქტების სიზუსტის დადგენა (ისტორიული კვლევა).

სიამოვნებით კითხულობს ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. უპირატესობას ილიას, გალაკტიონს, ოთარ ჭილაძეს ანიჭებს. უყვარს კლასიკური მუსიკა, თამაშობს ჭადრაკს. აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა შემოქმედებით კონფერენციებში, ფლობს სომხურ, ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს.

ჩვენთან საუბარში ახალგაზრდა რესპონდენტმა, შვილების აღზრდის საქმეში მშობლების როლის კიდევ უფრო გაზრდის აუცილებლობას გაუსვა ხაზი და ამ კუთხით საყურადღებო ნაშრომად ჟ. რუსოს წიგნი "ემილი აღზრდის შესახებ" დაასახელა.

"კომპიუტერი, ფაქტობრივად, მართავს მსოფლიოს, მან ჩაანაცვლა წიგნი, თუმცა პირადად მე წიგნი თავისუფლებას, სულიერ სიმშვიდეს მანიჭებს". – ემოციურად გვეუბნება ბენიამინი და საკუთარ მოსაზრებებს "სამტრედიის მაცნეს" შინაარსობრივ თემატურ მხარეზე ახმიანებს.

კარგია, არც სიძველეებს, ძველ თაობას რომ არ ივიწყებთ და ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ პროექტებზეც რომ წერთ, – გვითხრა და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

თავაზიანობით, ინტელექტით, საუბრის დახვეწილი სტილით, დიახაც რომ, გამოარჩევთ ბენიამინს თანატოლებისაგან.

ჯერჯერობით ესაა მხოლოდ, რაც ჩვენი რესპონდენტის შესახებ შეიძლება ითქვას, თუმცა სამომავლოდ, იმედია, "სამტრედიის მაცნეს" მისი წარმატების შესახებ ხშირად მოუწევს წერა.

ლევან ბაბუნაშვა

ვისაც ლიტერატურა უყვარს

# ხშირად, რჩევებს თუ რეკომენდაციებს თანამედროვე მწერლების შესახებ, სწორედ ახალგაზრდებისაგან ვღებულობ

ნათია ნაცვლიშვილი

***ლამზირა თევზაძე მესამე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგია, ნაბარებული აქვს სადირექტორო გამოცდაც, ამბობს, რომ ეს არა დირექტორობის ამბიციის გამო გააკეთა, არამედ საკუთარი შესაძლებლობების გამოსაცდელად! "სადირექტორო გამოცდა (რაც უნდა დაუჯერებლად მოეჩვენოს ვინმეს) არ ჩამიბარებია იმისთვის, რომ თანამდებობაზე ყოფნის ამბიცია მქვს, უბრალოდ, გამოცდა არის საუკეთესო საშუალება, შენს შესაძლებლობებსა და უნარებში დარწმუნდე! ვფიქრობ, სადაც მუშაობ, იმ სფეროს სიღრმისეულად უნდა იცნობდე. ამისათვის კი თანამდებობა სულაც არ არის საჭირო!" – გვეუბნება ქალბატონი ლამზირა. ჩვენს რუბრიკას "ვისაც ლიტერატურა უყვარს" წარმატებული და ბავშვების საყვარელი პედაგოგი სტუმრობს.***

**– წიგნის გარეშე ჩავლილი დღე ბევრი გაქვთ?**

– ასეთი დღე მასწავლებლისთვის წარმოუდგენელია, მით უმეტეს, თანამედროვე გამოწვევებისა და სიახლეების ხანაში. შეუძლებელია, პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწიო წიგნთან ურთიერთობის გარეშე. პროფესიიდან გამომდინარე, წლებია, სამეცნიერო და პროფესიულ ლიტერატურასთან უფრო ახლო ურთიერთობა მაქვს, ვიდრე მხატვრულთან.

**– რომელი ჟანრის ლიტერატურა გხიბლავთ?**

– განსაკუთრებულ სიამოვნებას სათავგადასავლო და ისტორიული ჟანრის ნაწარმოებების კითხვა მანიჭებს, თუმცა შემიძლია, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა ერთნაირი ინტერესით წავიკითხო, გააჩნია განწყობას იმ კონკრეტულ მომენტში.

რადგან დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვარ, განსაკუთრებულ ყურადღებას საბავშვო ლიტერატურას ვუთმობ, მასწავლებლებს ხშირად გვეკითხებიან მშობლები, თუ რა შეიძლება წაიკითხოს კონკრეტულ ასაკში ბავშვმა. ბუნებრივია, ვერ მივცემთ კომპეტენტურ რჩევას, თუ ჩვენვე არ ვიცნობთ საბავშვო ლიტერატურას, არ ვაკვირდებით ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, არ ვსწავლობთ მათი ინტერესის სფეროს, ამიტომაც, ხშირად მიხდება ფანტასტიკური და კომიკური ჟანრის ლიტერატურის გაცნობა!

**– კლასიკოს მწერლებს უკეთ იცნობთ თუ თანამედროვეებს?**

– მხატვრული ლიტერატურის გაცნობა მოსწავლეობის პერიოდში დავიწყე, ძირითადად, ვკითხულობდი კლასიკოსებს, მათ უკეთ ვიცნობ, ვიდრე თანამედროვეებს, თუმცა, ეს თანამედროვე მწერალთა არცოდნას არ ნიშნავს, მათ შემოქმედებასაც ვეცნობი.

**– ვინ არიან საყვარელი უცხოელი თუ ქართველი ავტორები?**

– ქართველ მწერლებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ არა მარტო ქართულ, არამედ, მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ მე გამორჩეულად ვაჟა მიყვარს მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით. ის კლასიკური მაგალითია იმისა, რომ სულაც არ არის საჭირო უმაღლესი განათლება (რაც ჩვენს ცხოვრებაში ძალიან მიღურია) ან თანამდებობა, რომ შექმნა ეპოქა და კაცობრიობის ისტორიაში დაიმკვიდრო ადგილი, რომელსაც წლები ვერას აკლებს! უცხოელებიდან შექსპირს გამოვყოფ, ყველაზე დიდი სიამოვნებით მის სონეტებს ვკითხულობ:

"რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,

რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,

რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,

რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა!"

– ეს ამონარიდია 66-ე სონეტიდან, რომელიც საუკუნეების წინ კი არა, გეგონია, ახლა დაიწერა, სწორედ ეს არის კლასიკა და უკვდავება!

**– დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

– ალბათ ისეთი, როგორიც უმეტეს ქართულ ოჯახებშია.

**– წიგნში მეტს კითხულობთ თუ პლანშეტში?**

– იმ თაობას მივეკუთვნები, ტექნიკასთან ურთიერთობა ზრდასრულ ასაკში რომ დაიწყო. შესაბამისად, წიგნიდან წაკითხულს უფრო სწრაფად და კარგად აღვიქვამ, ვიდრე კომპიუტერში. თუმცა არც კომპიუტერსა და ტელეფონში წაკითხვას გავურბივარ, მუშაობის შემდეგ დასვენებაში ძალიან მეხმარება პოეზია და მუსიკა, ამ ყველაფრისთვის ტელეფონი მარტივი და საუკეთესო საშუალებაა.

**– საყვარელი ციტატა, რომელიც რთულ მომენტებში გახსენდებათ.**

– არამარტო რთულ მომენტებში, ციტატა, რომელიც ყოველთვის მახსოვს, ეს არის: "რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!" – ეს სიტყვები ჩემთვის სოლომონ მეფის ბუკვალიზმთაა, როცა რაიმეს მივაღწევ, მახსენებს, რომ არა ღმერთის ნება, ამას ვერ შევძლებდი, ამიტომ, სიბლში არ უნდა ჩავვარდე, როცა რაიმეს გამოწვევის, განსაცდელის წინაშე ვარ, მაშინ მეუბნება, რომ ყველაფერი უფლისგანაა და სასოწარკვეთას არ უნდა მივეცე!

**– ნაწარმოები, რომელმაც ბოლოს ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე...**

– ესაა დათო ტურაშვილის "ჯინსების თაობა". ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამანახა, რა სასტიკი იყო საბჭოთა საქართველო, ბავშვობაში რომ ფერადად გვეხატებოდნენ! დამანახა, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა – ეს არის გონიერი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალა, დამანახა, თუ რა შეუძლია ერთმანეთის და ქვეყნის სიყვარულს, ასეთი გმირი ახალგაზრდების მხარეს მდგარი ერი უკვდავია!



**– წიგნთან დაშორებამ სულიერად გააუხეშა თუ არა თანამედროვე ადამიანი?**

– თუკი რაიმეს შეუძლია ზიანი მიუტანოს კაცობრიობას, ეს წიგნთან დაშორებაა! უწიგნური ადამიანი ადვილად დასამორჩილებელი და სამართავია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თანამედროვე ადამიანი მთლიანად დაშორებულია წიგნს. მადლობა ღმერთს, საკმაოდ მრავლად გვყავს წიგნიერი ახალგაზრდები, თუკი ისინი წიგნებს არ ყიდულობენ, ან მათ ხელში სისტემატურად წიგნს ვერ ვხედავთ, ან კიდევ ისე არ იზეპირებენ ლექსებსა და ციტატებს, როგორც ეს ჩემს ბავშვობაში იყო მიღებული, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ კითხულობენ! ძალიან ხშირად რჩევებს თუ რეკომენდაციებს თანამედროვე მწერლების შესახებ სწორედ ახალგაზრდებისაგან ვღებულობ და ეს მახარებს.

**– უკანასკნელი გროშები გაგიმეტებიათ წიგნში?**

– მადლიერი შეხვდეს შესაძლებლობა რომ მქონდეს, ყველა წიგნს ვიყიდდი, მაგრამ წასაკითხად სულაც არ არის საჭირო, წიგნი აუცილებლად სახლში გქონდეს! არსებობს საჯარო და კერძო (ვგულისხმობ სამეგობრო) ბიბლიოთეკები, საუკეთესო საშუალებაა ინტერნეტი და ელექტრონული ბიბლიოთეკა, თუ კომპიუტერში წაკითხვა და ალქმა გიჭირს, თანამედროვე ცხოვრებაში ტექსტის ამობეჭდვა რთული არ არის.

**– ფეისბუქის გვერდზე ლექსებს ხშირად აზიარებთ, ვინ არიან საყვარელი პოეტები?**

– როგორც ვთქვი, ვაჟა განსაკუთრებულად მიყვარს, როცა მის მოთხრობებსა და ლექსებს ვკითხულობ, ისე ღრმად ჯდება გონებასა და გულში, რომ მგონია, სისხლშიც გადადის და ჩემი შინაგანი ნაწილი ხდება. ვეტყვით იმასაც, რომ დასვენების დროს ხშირად ვუსმენ მუსიკას და ვკითხულობ ლექსს,ამ დროს ვცდილობ, თანამედროვე პოეტებსაც გავეცნო. განსაკუთრებულად ნანა მეფარიშვილის შემოქმედება მიზიდავს.

# "არა ომს! მშვიდობა პატარა ემიგრანტებს!"

ნინო ნანიტაშვილი

2022 წლის 7 აპრილს სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლაში უცხო ქვეყნის მოქალაქის განაცხადი შევიდა, რომელშიც იგი 9 წლის უკრაინელი გოგონას, პირობითი სახელით "ალონა",' დარეგისტრირებას ითხოვდა.

11 აპრილს სკოლამ ალონას თანხმობა მისცა, რომ გოგონა თეა კორძაძის სადამრიგებლო, მესამე-3 კლასის მოსწავლე გახდებოდა. არცთუ ისე უემოციო პროცესი დაიწყო სკოლაში. მესამე-3 კლასმა სრული მზადყოფნა და ყველა შიდა რესურსის მობილიზება მოახწრო. უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებში მოირთო. მომზადდა პატარების მიერ სამშვიდობო პლაკატები, რომლის მთავარი სლოგანი "მშვიდობა უკრაინას" და "მშვიდობა მსოფლიოს" ყველა გაკვეთილის ლაიტმოტივი და საწყისი თემა გახდა. სახელდახელოდ შესწავლილი რამდენიმე უკრაინული სიმღერაც მოესწრო პედაგოგ ნანა მიქელაძის ინიციატივით. მე-11 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა მანჯგალაძემ მეგზურობა გაუწია პატარა ალონას და მის თვალცრემლიან უკრაინელ დედას. და მთავარი სიურპრიზიც აქედან დაიწყო: გაიღო თუ არა მე-3 კლასის კარი, საზეიმო დახვედრაც ეზიში შევიდა: დამრიგებელმა თეა კორძაძემ გულში ჩაიკრა პატარა ალონა და უთხრა, რომ უკვე იგი ძალიან უყვართ, მას აუცილებლად შეასწავლიან ქართულ ენას და ასევე შეეცდებიან, შესაძლებლობის ფარგლებში განაგრძოს მშობლიური უკრაინული. მქუხარე ტაშით, ოვაციებით, ცოტა ცრემლებით, ქართული და უკრაინული მელოდიების მიქსით მართლაც ამაღელვებელი დახვედრა შედგა.

სულ მალე, გაკვეთილების დასრულებისთანავე, სკოლის მესამე-3 კლასის დამრიგებელმა თეა კორძაძემ სოციალურ ქსელში ძალიან ემოციური პოსტი დადო, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: "დღეს კიდევ ერთი ბარტყი შემოემატა სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის მესამე-3 კლასის ბუდეს. ამჯერად უკრაინიდან და მიუხედავად მძიმე ემოციური ფონისა, რომლის განმუხტვაც, რა თქმა უნდა, შევეცადეთ, ძალიან ლამაზი დღე იყო, უმალვე მივხვდი, როგორ შეისისხლხორცა ერთი უკრაინელი დანარჩენმა ქართველებმა, კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი, ეს ხათუთი "პატარა დიდები", როგორ გრძნობენ ამ ომს და როგორ უნდათ და სჭირდებათ უკეთესი სამყარო"...

"არა ომს! მშვიდობა პატარა ემიგრანტებს".









# ასე მგონია, რომ ღირსეულ სახელებს არ უნდა ვუკარგავდეთ შთამომავლობას, "ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზე ხელს იღებს.

*მწერლისა და ნაწარმოების დანიშნულებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, რას უნდა ემსახურებოდეს ლიტერატურა, რა არის მისი მთავარი აზრი და მიზანი, არის ის მხოლოდ ესთეტიკურ-მხატვრული დანიშნულების, თუ მას უფრო მაღალი მისია აკისრია, რას ემსახურება სახეების "არარსებულიდან" "არსებულში" – ლიტერატურაში გადმოტანა, მხატვრულ პერსონაჟებად ქცევა, ანუ ხორცშესხმა მათი გრძნობების, ვნებების, ფიქრების აღწერა, რა ძალა აქვს ლიტერატურას, როგორ მოქმედებს ის ადამიანზე...*

*მოყოლებული ილიას და აკაკის ეპოქიდან, მრავალ მწერალს საკუთარ მიზნად გაუხდია "თავისი კალმის" ხალხის სამსახურში ჩაყენება. კამათი ლიტერატურის დანიშნულებაზე ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალშიც.*

*იმ მწერალთა შორის, რომელთაც თავის მთავარ დანიშნულებად ხალხის სამსახურში ყოფნა მიაჩნდათ, პარმენ ლორიაც გახლავთ, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით და პირადი ცხოვრებით ამ იდეას ემსახურებოდა.*

*პარმენ ლორია 1896 წელს დაიბადა სოფელ ქვაყუდეში (ამჟამინდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტი, გორმაღლის თემი) და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბათუმში, აჭარაში გაატარა. იგი იყო ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი რომანისა და მოთხრობის ავტორი, ჭეშმარიტად "სახალხო მწერალი, სარგებლობდა დიდი პოპულარობითა და ხალხის უდიდესი ნდობითა და სიყვარულით.*

*მწერლის გახსენება და მის პიროვნულ პორტრეტზე საუბარი ვთხოვეთ მის ვაჟიშვილს, ბატონ ალექსანდრე ლორიას, ბიბლიოთეკათმცოდნეს, ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, მრავალი ნაშრომისა და არაერთი მხატვრული ნაწარმოების ავტორს.*

**– ბატონო ალექსანდრე, მინდა, გვესაუბროთ მწერალ პარმენ ლორიაზე სხვა რაკურსით, როგორც თქვენს მამაზე, მეუღლეზე, მეგობარსა და მწერალზე.**

– მამასთან 45 წლის განმავლობაში უწყვეტი ურთიერთობა მქონდა. მე ვიცნობდი მას, არა მხოლოდ როგორც ოჯახის წევრსა და მამას, არამედ როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. არაერთხელ გამიგონია იმდროინდელი თაობის ადამიანებისაგან, რომ პარმენ ლორიას წიგნებზე მთელი თაობა იზრდებოდა. კარგად მახსოვს, თუ რამდენ პოპულარული იყო ის თავის დროს, მაგრამ ამაზე ქართული თანამედროვე ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებმა ილაპარაკონ. მე მისი ცხოვრების იმ ეპიზოდებს გავიხსენებ, რომლებმაც ჩემს თვალწინ ჩაიარა და პიროვნულ თვისებებზე ვისაუბრებ. მამას თავისი ცხოვრების სურათები, თავის ბევრ მხატვრულ ნაწარმოებში აქვს ასახული. მისი რომანები "დაზგიდან დაზგამდე", "გზები და ბილიკები", "ქალდაკვალ" დიდწილად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებებია. ზოგი გამოცემის შესავალში მოცემულია მწერლის საკმაოდ ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მაგრამ პირად ცხოვრებაზე თითქმის არაფერი მოიპოვება. ბავშვობაში მამის ცხოვრება იყოფოდა იმის მიხედვით, სახლში როდის იყო და როდის – არა. არ იყო მკაცრად დადგენილი და განსაზღვრული დრო. დილით მოგვიანებით დგებოდა და მიდიოდა სამსახურში, მთელი დღე იქ ატარებდა, დაბრუნებით კი უმეტესად, გვიან საღამოს ბრუნდებოდა. სადილობისას ხან მოდიოდა, ხან – არა. როცა ძალიან გვიან მოვიდოდა, ივახშმებდა და იძინებდა. მაშინ 12 საათი ძალიან გვიან ითვლებოდა, საქართველოს რადიო წყვეტდა გადაცემას. მამას თავისუფალი გრაფიკი ჰქონდა. ხანდახან მუშაობით კვირასაც მუშაობდა, მიდიოდა სამსახურში და იქ საკმაოდ დიდი ხანს რჩებოდა. კვირაობით, როცა სახლში იყო, საშინაო საქმეებსაც მიხედავდა სოლმე და ჩვენც – მე და ჩემს დებს. მამა რომ დიდ დროს ატარებდა სამსახურში, არცაა გასაკვირი. ჩვენს ოროთახიან ბინაში მას არავითარი პირობები არ ჰქონდა შემოქმედებითი მუშაობისთვის. არასოდეს მინახავს, რომ მამას სახლში ეწეროს, ის მხოლოდ სამსახურში წერდა. მამა თვითონ იყო მწერალთა სახლის ხელმძღვანელი და სარგებლობდა სამსახურის წყნარი, მყუდრო გარემოთი. ხანდახან საღამოობით იქ იკრიბებოდნენ მწერლები, უმეტესად საუბრობდნენ, ან ჭადრაკს თამაშობდნენ. მამა კარგად თამაშობდა ჭადრაკს, რამდენიმეც ვიცი, თითქმის ყველას უგებდა და "რევანშისტები" ხშირად აკითხავდნენ და ხანდახან მათი "ფალავნები" კი მოჰყავდათ. ჩვენი ბინის კარი დაღამებამდე არ იკეტებოდა. ჩვენ შინაურები ხომ ბევრნი ვიყავით და სტუმრებს ხომ ნუღარ იტყვით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 60 წლის იუბილეზე ახალი სამოთახიანი ბინა და შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო, გახდა შესაძლებელი, ცალკე ოთახი ჰქონოდა. კაბინეტი თავისი ხელით მოიწყო და იქ დაიწყო წერა. უკვე პენსიაზე იყო გასული და აღარ მსახურობდა. ჩვენც – შვილები სულ დაფანტულები ვიყავით, დედა და მამა მარტო ცხოვრობდნენ და მიეცა საშუალება, წყნარ, შესაფერის გარემოში განეგრძო შემოქმედებითი მუშაობა. როგორც ქმაწვილს, ისე უხაროდა ეს და ფიზიკურად თუ გონებრივად ძალიან გამოცოცხლდა, ახალი ენერგიით აივსო, რაც მის შემოქმედებას ნაყოფიერად დაეტყო. ამ წლების შემდეგ რაც კი გამოიცა, საკუთარ სახლში, თავის კაბინეტში აქვს შექმნილი. მამას ძალიან უყვარდა ოჯახში ფუსფუსი, მანამდეც. მაგრამ მას შემდეგ უფრო, რაც აღარ მუშაობდა და პერსონალურ პენსიაზე გავიდა. საგულისხმო სელობას თავისი მამის წყალობით, რომელიც პროფესიონალი დურგალი იყო, ბავშვობიდანვე ფლობდა და ყველაფერი ეხერხებოდა. თუ რამე იყო შესაკეთებელი, გასასწორებელი, თავისი ხელით აკეთებდა. მშვენიერი თაროები ჩადგა კედელში თავის ოთახში წიგნებისა და არქივისთვის. მზარეულობაც გამოსდიოდა. უყვარდა სადილების დამზადება და როცა მიეცემოდა საშუალება და დრო, ამაზე უარს არ ამბობდა. ბევრჯერ საოჯახო საქმეში ეხმარებოდა დედას, ბაზარშიც დადიოდა. სასოფლო-სამეურნეო საქმეშიც იყო ნარიუელი. მაგონდება, იმის დროს მწერლებს ნაკვეთები გამოუყვეს, სიმინდი მოჰყავდათ, ჯერ სოფელ შუხუთში, შემდეგ ბათუმის მახლობლად რომელიღაც სოფელში. მასთან ერთად მეც მომიწია მუშაობა, უკვე წამოზრდილი ბიჭი ვიყავი, მამის გვერდით ვიდექი ყანაში, კარგი მოსავალი ავიღეთ იმ წლებში, რაც გვშველოდა ომისდროინდელი შიმშილის გადატანაში.

**– თქვენი ფესვების სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან, კერძოდ, ქვაყუდედანაა, რა დატვირთვა ჰქონდა მწერლისთვის ამ ადგილს?**

– სოფელი ძალიან უყვარდა, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ერთად ხშირად ჩავდიოდით და ბევრ რამეს მიყვებოდა თავისი ბავშვობის პერიოდზე. ზოგჯერ მარტო მოიგლიდა ყველაფერს,



განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც მათი ძველი ეზო იყო, მანამდე, სანამ სამოსახლოს არ გაიყიდნენ. დიდხანს იდგა მდუმარედ და ჩვენც არ ვარღვევდით მის მყუდროებას. სოფელში ადრე ერთი ყაველით გადახურული ორთვალა პატარა ოდა გვედგა სოფლის განაპირა ბექობზე, რცხილის ხეებს შორის. ის მისი ნაადრევად გარდაცვლილი ძმის ოჯახი სახლობდა ქვრივი რძლითა და ორი პატარა ბიჭით, რომლის დახმარება და შეწევნა მამაჩემმა თავის თავზე აიღო.

განსაკუთრებით მიუხაროდა გორმაღალში დედის ძმის – ესე გვაშაძის ოჯახში. დედა მამას ადრე გარდაეცვალა, ოჯახი იძულებული იყო 14-15 წლის ბიჭი ქალაქში გაეშვათ სამუშაოდ. ძლივს მოეწყო ბათუმში გემის მეკვირითაედ, მაგრამ ვერ გაუძლო უმძიმეს სამუშაოს და შედარებით უკეთესი პირობების ძებნაში რუსეთში მოუწია წასვლა, შემდეგ ჯარში გაიწვიეს, მხოლოდ ომის პერიპეტიებში გახლართა, დაბრუნდა და ისევ ბათუმს მიაშურა. აქედან დაიწყო მისი ბათუმური ეპოქა. ძალიან საინტერესოდ აქვს აღწერილი მწერალს ეს პერიოდი თავის ავტობიოგრაფიულ რომანში.

ბალაძტიონ ბიორბაძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ენა მწარევ და ენა მზიანო!

**თემურ ნუცუბიძის ხსოვნას**

ზეგარდმო ნიჭით მირონცხებული, საოცრად თავისებური.

დიდ ჯიხაიშში ერთ სკოლაში იგი მოღვაწეობდა, მეორეში მე ვმუშაობდი. სამუზეუმო ღონისძიებაზე გავიცანი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში სახალხო უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა, საინტერესო მოხსენებით წარსდგა ერთხელ მსმენელთა წინაშე. "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაშიც ხშირად გვსტუმრობდა. მწუხარებით შევიტყვეთ მისი ნაადრევი, უეცარი, ტრაგიკული გარდაცვალების ამბავი.

20 წელი გავიდა თემურ ნუცუბიძის გარდაცვალებიდან-თქო, ვთქვი ერთხელ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში და ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილმა თანამშრომელმა, ქალბატონმა ნანა გეგუჩაძემ, მარად ჟურნალ-გაზეთებს რომ ჩაჰკირკიტებს, მწერალ მაყვალა გონაშვილის ლექსი მომაწოდა, რომელიც თემურ ნუცუბიძეს ეძღვნება.

სწორედ ამ ლექსით გავიხსენებთ სამზეოდან ნაადრევად წასულ ინტელიგენტს.

ლევან გაბეჩავა

**თემურ ნუცუბიძეს**



მე არ მინახავს შენი საფლავი,
არც ყვავილებით მომიფენია,
თურმე, იოლი ყოფილა წასვლა,
თურმე, წარსულიც არაფერია.
გიხსენებ ისე, ათასში ერთხელ,
ცრემლი არ ნამავს წამით წამწამებს,
ალბათ, უცალი თუ მოგბანს ტალახს,
ასე დევნილს და ასე ნაწამებს.
გარბოდი, თითქოს თავს გაურბოდი
და მოგჩხაოდა ავი ქვეყანა,
ისეთი გზებით გახეტიალა,
რომ ბედს კი არა, ავბედს შეგყარა.
რა ექვე გლრნიდა დაბადებამდე?
საფლავის ქვამდე რა ცოდვა გდევდა,
მანდ განცხადდება ყველა ფარული,
მანდ უკვე მშვიდად დაგხვდება დედა.
მშობელს თუ არა, შენი ტკივილი,
იქნებ დიდ დედას გაუზიარო,
დედაც მანდაა და უფლის დედაც
ენა მწარევ და ენა მზიანო!
მეტი რა გითხრა, ისევ ის დროა,
ვერ დაეაღწიე თავი დიდ ზამთარს.
და ჟამი ისევ ერთი საცრით ცრის
კეთილს თუ ბოროტს,
მტყუანს თუ მართალს.

მაყვალა გონაშვილი

# უბრალოებით განდიდებული

ვასილ მჟავანაძე – 120



*ყოველი პიროვნება თავისებურია. არიან არაფრის მკეთებელნი, რომლებიც საკუთარი თავის განდიდებით არიან დაკავებულნი და სხვებისგან თაყვანისცემას ითხოვენ. თუმცა არიან ჩუმად ჩრდილში მყოფნიც, რომლებიც თავად კი არ ხმაურობენ, არამედ ლაღადებენ მათი კეთილი საქმეები.*

*პირად ბიბლიოთეკაში წიგნს წავაწყდი, "ასეთი იყო ჩემი საქართველო" – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც საქართველოს პარტიული ლიდერის, ვასილ მჟავანაძის ცხოვრებასა და მამულიშვილურ მოღვაწეობას ეხება.*

*წელს 120 წელი სრულდება ვასილ მჟავანაძის დაბადებიდან, ამდენად გადავწყვიტეთ მომავალი თაობებისათვის რამდენიმე სიტყვა გვეთქვა მის შესახებ. წიგნში მოხმობილ ფაქტებზე დაყრდნობით.*

შორს იყო მისგან ფუჭი თავმოწონება, ამაოდ როდი აღნიშნავდნენ მისი თანამედროვენი გენერალი მჟავანაძე კაცობის, მეგობრობის გენერალიც იყოო. თავბრუ არასოდეს დაუხვევია მისთვის წარმატებებს. 19 წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს და არც ერთი წელი არ ჰგავდა ერთმანეთს, ყოველი ახალი ძველთან შედარებით მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის, ხალხისათვის.

გრანდიოზული მშენებლობები. არა მარტო დედაქალაქში, რეგიონებში, ზრუნვა მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისადმი, საოცარი პატივისცემა, ძალისხმევა მშრომელი ადამიანებისადმი, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის მუშაკთათვის საუკეთესო პირობების შექმნისათვის. არაფერს თაკილობდა თურმე, როცა საუწყებო პერსონალური მანქანა გაფუჭებულა, ქვეყნის პირველი პირი სტადიონზე რძის მანქანით მისულა?! (ამას ახლა ბევრი გაყვლეფებული რიგითი ჩინოვნიკი არ "იკადრებს"). ახალგაზრდობაზე ზრუნავდა, პერსპექტიულ კადრებს ირგვლივ იკრებდა და არც მათ დაწინაურებაზე უკანკალებდა თურმე ხელი.

და იმ მლიქვნელსაც თავაზიანად მიუთითა თურმე კარისაკენ, რომელმაც ახლად დანიშნულ ქვეყნის პირველ პირს (ტრადიციულად) გვარ-სახელების გრძელი სია წარუდგინა, ვის უნდა გაფრთხილებოდა, ვინ უნდა გაეშვა თანამდებობიდან და ვინ უნდა დაეტოვებინა!

"ერთმა კაცმა მითხრა, ოდესმე მამაშენს ძეგლს დაუდგამენო, მამას არ უყვარდა ძეგლები, მემორიალური დაფები და ა. შ. ამისი მაგალითია მისი საფლავის ქვა, რომელიც დედის სიკვდილის შემდეგ თავად აირჩია. ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ძეგლი ხალხის სიყვარული და ხსოვნაა". – წერს მამის შესახებ **თამარ მჟავანაძე.**

სწორედაც რომ ხალხის ხსოვნაში დაიდგა ფუძემტკიცე ძეგლი ბავშვობაშივე დაობლებულმა, გენერლობამდე და საქართველოს ლიდერობამდე აღზევებულმა დიდმა ერისკაცმა.

ნურავინ გვიწყენს, დიახაც რომ, სჭირდება მჟავანაძისნაირი ერისკაცები ჩვენს ქვეყანას, ქართველებისგან დაცლილ დღევანდელ საქართველოს.

ლევან გაბეჩავა

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული სამტრედიელის

**მალხაზ ნოდარის ძე კოხრეიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა გელეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მალხაზ ნოდარის ძე კოხრეიძე**

და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

---

ბექან გოგია მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ქართველის

**მალხაზ კოხრეიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.



ტარიელ და რამაზ დვალიშვილები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

**ჯიმი დვალიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ტარიელ დვალიშვილს ბიძაშვილის

**ჯიმი დვალიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ბექან გოგია მწუხარებას გამოთქვამს

**თემურ სიხარულიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

ლევან გაბეჩავა მწუხარებას გამოხატავს

**ალეკო ცხაკაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# გაუაზრებელი კითხვები და პასუხები

– ექიმო ბოდიში, რომ მობილურით გაწუხებთ, თქვენი კონსულტაცია მჭირდება.
– დამირეკეთ მოგვიანებით, ვიმყოფები მომაკვდავ ავადმყოფთან.
მნახველი მძიმე ავადმყოფს
– როგორაა საქმე, ექიმები გადარჩენის იმედს გაძლევენ?
– მატარებლის პირველი ვაგონის ბილეთი რამ აგაღებინა, ეგ ხომ საერთო სარგებლობის ვაგონია.
– მეჩქარება, ცოტა ადრე მინდა ჩავიდე.
– თბილისის და მოსკოვის "დინამოელთა" შეხვედრა გასულ წელს ენახე. ამდენად, ჩემთვის ბილეთის ახალებად ნუ შეწუხდებით.
– თუ ამდენ მორბენალებში პირველი ადგილი მხოლოდ ერთს ერგება, დანარჩენები რატომ დარბიან?
შეკითხვა შეჯიბრზე მოსულ ვეტერანებს
– გასულ წელს გაცილებით ბევრი შეიკრიბენით, რა, დანარჩენები უკვე დაიხოცნენ?
**დატირება**
– გამოიხედე, აბესალო გამოიხედე. შენი მეგობრები მოვიდნენ. რა დააშავე ასეთი რომ, ამდენ მეგობრებში უფალმა შენ შეგარჩია.
– ნიკო, სოკო ფრთხილად ჭამე, არ მოგწამლოს.
– რამდენი წლის ხართ?
– სამოცის.
– მე, ორმოცდაჩვიდმეტის. არა უშავს, სამ წელიწადში დაგეწევი.
– გილოცავ ახალ მანქანას,"ჯიპის" შეძენას,ისე მძიმე მანქანა ჩანს,ტარება არ გაგიჭირდება?
დიქტორი: რუსეთ-უკრაინის ომში მოვლენები საინტერესოდ ვითარდება...
დიქტორი: საფრანგეთში ქურდობის ფაქტზე სამი საქართველოს მოქალაქე დააკავეს..
– მამაო,თქვენი ლოცვები შედეგს რამდენ ხანში გამოიღებს?
– რაშია საქმე, გუნდი ფორმაში რატომ არაა?
კითხვა რაიკომის პირველი მდივანი ფეხბურთელთა გუნდზე მიმაგრებულ თანამშრომელს
– რას ბრძანებთ, რაჟდენის, სულ ახლახან ორი წყვილი ახალთახალი ფორმა შევუძინეთ.
დიქტორი: ლარიბაშვილმა ევროკავშირში შესვლის თხოვნას ხელი ემოციების გარეშე მოაწერა.
– ვერ გამიგია, კანონიერ ქურდს ქურდობისათვის რატომ უჩივიან.
– ექიმო, ასაკით 80 წელს რომ გადავცილდი, სულ თქვენი დამსახურებაა. ალბათ, გაცილებით მეტის ვიქნებოდი თქვენი რჩევები სრულად რომ გამეთვალისწინებინა.
– მამაო, მეუღლე ცუდად მყავს, კვდება, თუ შეიძლება, პატივი დამდეთ და აზიარეთ. გაითვალისწინეთ, რომ მორწმუნე და ეკლესიური არ იყო.
– არა უშავს, ზიარების შემდეგ მორწმუნეც გახდება და ეკლესიურიც
ელენე ხოშტარიას სატელევიზიო გამოსვლიდან
– ჩვენ არც ერთი სამი საქართველოს მოქალაქე სასიკვდილოდ არ გვემეტება.
საუბარი მობილურზე
–ვერ წარმოიდგენ, როგორ მეწყინა ამბროსის გარდაცვალება. კარგი კაცი იყო: მოყვასი, ერთგული, საიმედო. ისე, წინასწარ რომ იცოდე, ჩემს პიროვნებას შენზედაც ასეთი წარმოდგენა აქვს.
მე მოვუწოდებ ყველა საქართველოს მოქალაქეს.
**ელენე ხოშტარია**
– გაიგე, ნინო გარდაცვლილა, რა შესანიშნავი ადამიანი იყო, კეთილი, მოყვასი, ერთგული, აი, შენ რომ გიყურებ, ნინოს მაგონებ.
– მხიარული რა გვარია?
– ერუაშვილი.
– არ გამიკვირდა,მაყურებლის გინებასა და ლანძღვაზე რატომ არ რეაგირებს.

ბორის ფოცხვერაშვილი

## სამტრედიელმა მოსწავლეებმა საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს

სამტრედიის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეების წარმატებით დასრულდა იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირი ქუთაისში. მწვრთნელის, ნინო ჯვარშეიშვილის, მოსწავლეებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები. V თანრიგისან 8 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველ ადგილზე გავიდა ლუკა ბელთაძე, უთანრიგო 7 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველ ადგილი მოიპოვა გიორგი გრიგოლიამ. I V თანრიგოსან გოგონათა შორის მე-3 ადგილზე გავიდა ანა ბელთაძე.

ნორჩი მოჭადრაკეები შეუდგნენ მზადებას იმერეთის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. იგი 12-21 აპრილს ქალაქ ქუთაისში გაიმართება.

მაია ჯვარშეიშვილი



# ვულოცავთ!

### ქალბატონ მედეა თავაძეს!

განთიადიდან შებინდებამდე,
მუხლჩაუხრელს ხან დაღლილს,
გიქებ ქალობას და გულით გლოცავ
თვით ობლობაში გაზრდილს.
არ მოგაკლებოდეს შთამომავალთა
საამო, თბილი მზერა,
გავსებდეს წრფელი მადლიერება
და მათი გულისცემა.

ნათელა ბელეიშვილი



### ალექსანდრა ქარჩავას!

ბედნიერი ყოფილიყოს შენი ამქვეყნად მოვლინება, ჩემო პატარავ, სასახელო ქალი გაიზარდე, იხარე და იდღეგრძელე.

მამიდაშვილი ანანო მიქაძე

### კორნელი ჩიხლაძეს!

ბატონო კორნელი, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოგესალმებით საფრანგეთიდან და კიდევ ერთხელ გილოცავთ 94 წლისთავს!

უმრავლოს ჩვენს ქალაქს, ქვეყანას თქვენნაირი ნიჭიერი, ღვთის მოსავი და კეთილშობილი ადამიანები სიხარული, წარმატება და ბედნიერება არ მოჰკლებოდეს თქვენს ლამაზ ოჯახს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებთ! უფალმა დაგლოცოთ!

მე კი, მდაბლად ვხრი თავს თქვენს წინაშე ბატონი კორნელი და ისევ გიხდით მადლობას, რამეთუ უდიდესია თქვენი ამაგი ჩემი სამომავლო გზის გაკაფვასა და დაკვალიანებაში.

ბაჩანა ჩაბრაძე
პროფესორი, პოეტი,
მთარგმნელი, მოჭადრაკე
საფრანგეთი

### ქალბატონ ანა თხილავას

ბავშობიდან სხივმოსილი,
გარს აფენდა ნათელს,
შეუდარე ჩვენი ანა
და ვმადლობდი გამჩენს.
სუფთა გულით და გონებით
გაიარა გზები,
ფაქიზ გოგოს ვხედავ მასში
მოგონებით ვტკბები.
ობლობაში გაზრდილ და-ძმას
დაუნისლავთ გული,
მაგრამ იქვე დაებადათ
წრფელი სიყვარული.
წლებმა უცებ ჩამოთოვეს
გული გაებზარა,
საყვარელი ძმის საფლავზე
დღეს ცრემლები ღვარა...
ჩემო ანა, ცრემლი კმარა,
გაიხედე ირგვლივ.
შენს ქალობას და ღირსებებს
არ გასცვლია ხიბლი.
სიცოცხლე და დღეგრძელობა,
ღანირელო ქალო,
მავსებს შენი სულგრძელობა,
შენი ხილვით ვხარობ.

დაბადების დღეს გილოცავ
ჩვენო ანა. იხარე და დღეგრძელე.

ნათელა ბელეიშვილი




ვახტანგ დუნდუას ვულოცავთ დაბადების დღეს!




დავით ამაღლობელს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ქალაქ სამტრედიაში სარემონტო კომპანია „RemHouse Group"-ს სტაბილური დასაქმებით ესაჭიროება სხვადასხვა პროფილის ხელოსნები : კედლის დამუშავება( ლესვა,გაჯი, შპალერის აკვრა, ღებვა), კაფელ-მეტლახის აკვრა და დაგება, სანტექნიკა და ელექტროობა, შეკიდული ჭერის მონტაჟი. (ასევე შესაძლებელია დასაქმება ადგილზე პროფესიის შესწავლით დამწყები ხელოსნებისთვის, შესაბამისი ანაზღაურებით).

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: 592020382, 597107382.
მისამართი: ქ. სამტრედია, რუსთაველის ქუჩა N 23.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჯელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა